პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

საქ. კპ. და თბილისის კომი-ტეტის და საქარ. მ., გ., წ.-არმ. დეპუტატთა საბჭოთა ცენტრა-ლურ აღმასრულებელ კომი-ტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ, № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9 - 2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

136 კვირა, 18 ივნისი 192/ წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 18 ივნისი 1922 წ. № 136

თბილისის მუშებო, წითელ-არმიელებო და ყველა მშრომელნო!

ხვალ იწყება ჩვენი ქალაქის საბჭოს ახალი არჩევნები.

ექვსი თვის წინეთ თქვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით თბილისის საბჭოში აირჩიეთ ჩვენი პარტიის კანდიდატები, ქალაქის საქმეები ჩააბარეთ კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს.

თბილისის მუშებო და ჯარის-კაცებო! ასეთივე ერთსულოვანებით მიეცით ეხლაც ხმა ჩვენი პარტიის კანდიდატებს.

არც ერთი თქვენი ხმა ხალხის მტრებს: მენშევიკებს და მის დამქაშებს.

აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები.

საქართველოს კომპარტიის კონფერენცია

ამა წლის ივნისის 25 ს მოწვეულია პირველი პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მე-11 ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები;
2) მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ;
3) მოხსენებები ადგილებიდან;
4) მუშაობა პროფკავშირთა შორის;
5) მუშაობა ახალგაზრდათა შორის;
6) საორგანიზაციო აღმშენებლობა;
7) საფინანსო პოლიტიკა;
8) მიმდინარე საქმეები;

ცეკას სეკრეტარიატი.

ორშაბათს, ივნისის 19-ს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმისა, კავშირების ცენტრალურ მმართველობის, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებისა და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად

დღის წესრიგი:

1) ამხ. ბუდუ მდივანის მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

საკითხების მნიშვნელოვანობის გამო, ყველა წევრთა და კანდიტატების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

სხდომა შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა შეიკრიბოს.

მდივანი **მესხი.**

ნაკაზი დეპუტატებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა ამოსარჩევ დეპუტატებს მიეცეს შემდეგი ნაკაზი:

„განვიხილეთ რა საკითხი თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების შესახებ, ჩვენ, ... მუშა-მოსამსახურენი ვადგენთ:

უკვე წელიწად ნახევარმა გაიარა მას შემდეგ, რაც საქართველო შევიდა პროლეტარულ საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში. საქართველომ მათთან ერთად დიდ შედეგებს მიაღწია. გენუის კონფერენციას, მის მომწვევთა აზრით, უნდა გააერთიანებია საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ მთელი ბურჟუაზიული სამყარო და ეკარნახებია ჩვენთვის ისეთი მძიმე პირობები, რომელიც ჩვენ გადაგვაქცევდა ანტანტის მძარცვავი და მტაცებლური ექსპლოატაციის კოლონიად.

ნამდვილად კი საბჭოთა ფედერაციამ შესძლო გაერღვია ერთიანი ფრონტი კაპიტალისა და დაედვა სეპარატიული ხელშეკრულება პირველად გერმანიასთან და შემდეგ ჩეხოსლოვაკიასთან.

ჩვენ არ მივეცით ნება არა მარტო იმისა, რომ ჩვენთვის თავზე მოეხვიათ მძიმე პირობები და ახალი ბორკილები დაედვათ ჩვენთვის, არამედ ცხადად დავანახეთ მთელ კაპიტალისტურ ქვეყანას სიძლიერე და სოლიდარობა საბჭოთა სახელმწიფოებისა. ანტანტას ჩვენთან ამა თუ იმ ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ, როგორც თანასწორს თანასწორთან.

საქართველოს მშრომელებმა თავისი დაფასება კომუნისტური პარტიისა და არჩევანი უკვე მოახდინეს ნახევარი წლის წინად. როდესაც თავის წარმომადგენლებად ერთსულოვნად აირჩიეს კომუნისტურ პარტიის წევრები.

დღეს-დღეობით, როდესაც ხდება თბილისის საბჭოს ხელახალი არჩევნები, ვიხილავთ რა მის ნახევარი წლის მუშაობას, ჩვენ ვრწმუნდებით, რამდენად სწორი და მიზანშეწონილი იყო არჩევანი კომუნისტური პარტიისა, როგორც ყველაზე უფრო დამცველი მუშათა და გლეხთა ინტერესებისა და რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია თანამედროვე კრიზისის საწინააღმდეგო ბრძოლაში და ახალი სოციალისტური წესწყობილების საფუძვლების შექმნაში.

თფილისის საბჭომ, თავისი ნახევარი წლის მუშაობის განმავლობაში, არა თუ დათურგნა ის არევ-დარევა და უთავბოლობა, რომელიც არსებობდა ქალაქში, არამედ საძირკველი ჩაუყარა ახალ წყობილებას მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ.

საბურთალოს გაჯანსაღება, რომელიც ნამდვილი წყარო იყო ყოველგვარი სნეულობის გავრცელებისა და მცხოვრებლების დაღუპვისა, წყალსადენის და განათების გაუმჯობესება, მადათოვის კუნძულის და მთელ რიგ ტალახით ავსებულ ქუჩების გაწმენდა, საბავშვო ბაღების და სკოლის საქმის ფართოდ განვითარება, მუშებისათვის მთელ რიგ სახლების გადაცემა, ბოსტნების მოწყობა, და რაც უმთავრესია არაგვზე ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოწყობის მუშაობის დაწყება, რომელიც მისცემს ტფილისს მოთხოვნილებაზე მეტ ენერგიას, მოსპობს დიღომის ველს და ერთხელ და სამუდამოდ გამოასწორებს წყალსადენის მუშაობას,— აი შედეგები ტფილისის საბჭოს ნახევარი წლის მუშაობისა.

ამ ნაყოფიერი მუშაობის მიზეზს ჩვენ ვხედავთ, პირველ ყოვლისა, იმ შეკავშირებაში, სიმტკიცეში და რევოლიუციონური საუკეთესო აღთქმათა ერთგულებაში, რომელიც გამოიჩინეს ჩვენ მიერ ნახევარი წლის წინად არჩეულ დეპუტატ—კომუნისტებმა.

ვუცხადებთ რა ხელახლა სრულ ნდობას საქართველოს კომუნისტურ პარტიას დავაკისრებთ მას წარმომადგენლობას და ჩვენი ინტერესების დაცვას, ჩვენ ვავალებთ ჩვენ დეპუტატებს:

1) მედგრად დაიცვან კავშირი მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებთან, რომელნიც დარაზმულნი არიან მესამე ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ.

2) განავითარონ და განამტკიცონ მჭიდრო კავშირი საბჭოთა რუსეთთან და გაერთიანებულ ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების შორის.

3) ფხიზლად იდგენ პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე და ყოველგვარად ხელი შეუწყონ და დაეხმარონ სახელოვან წითელ არმიას, რომელიც არის ერთგული დამცველი მუშათა ინტერესების დ მედგარი მებრძოლი კონტრ რევოლიუციის ყოველგვარი ცდისა დ განზრახვების წინააღმდეგ.

4) მთელი ძალ ღონით განაგრძონ და დაასრულონ ბრძოლა არევდარევისა და კრიზისის წინააღმდეგ, რომელიც ასე ნაყოფიერად დაიწყო წარსულმა საბჭომ.

კერძოთ, მეურნეობის აღმშენებლობის ამ მუშაობაში, ჩვენ ვავალებთ ჩვენ დელეგატებს შეეცადონ:

ა) ნორმალური ხელფასის დაწესებას და მის თავის დროზე გადახდას.

ბ) მშრომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მუშათა ბინების და ბაღების აშენება მოწყობით.

გ) ქალაქის მიწების ბოსტნებისათვის გაძლიერებულ დამუშავებას და ქალაქის სარძევე მეურნეობის მოწყობას.

დ) ქალაქის სასაკლაოს და მასთან დაკავშირებულ წარმოებათა მუშაობის გაფართოვებას და ქალაქის სახორცე დუქნების დაარსებას.

ე) პირველ მოთხოვნილების საგნებზე საბაზრო ფასების მოწესრიგებას, იმდენად არა აკრძალვებითა და ნიხრის დაწესებით, რამდენადაც ქალაქის მეურნეობისა და ვაჭრობის მოწყობით.

5) მიაქციონ სერიოზული ყურადღება მცხოვრებთა ფართო წრეების განვითარებას და მათ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ამ მიზნისათვის;

ა) აწარმოვონ გაძლიერებული ბრძოლა ბავშვთა მათხოვრობის წინააღმდეგ, ბავშვთა თავშესაფარების, სახლების, კლუბების და საზოგადო კოლონიების ქსელის გაფართოებით.

ბ) ყოველი ზომით გააფართოვონ სკოლის ქსელი და შეეცადონ მოზარდი თაობის საყოველთაო სწავლა განათლებას.

გ) მოსპონ წერა კითხვის უცოდინარობა პირველ-ყოვლისა ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წრეში, ხოლო შემდეგ ქალაქის მცხოვრებლებთა ფართო მასაშიც.

დ) ფართოდ გაშალონ ქსელი სკოლის გარეშე სწავლა-განათლებისა და კულტურულ გასართობების, კურსებისა და კლუბებისა ქალაქის მშრომელთა ფართო მასებისათვის.

ვსახავთ რა საერთო ხაზს ჩვენი დეპუტატ. მუშაობისას, ჩვენ გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას იმისას, რომ ისინი ღირსეულად და თავდადებით განაგრძობენ დიდი ბრძოლის საქმეს მშრომელთა განთავისუფლებისათვის და სოციალისტური წესწყობილების შექმნისთვის, რომლის დროსაც არ იქნება ადამიანისაგან ადამიანის დაჩაგვრა-დამონება.

ჩვენის მხრით ჩვენ ვიძლევით საზეიმო აღთქმას მთელი ჩვენი ძალღონე მოვანდომოთ ამავე მიზნისათვის ბრძოლას, მჭიდრო კავშირში ჩვენივე დეპუტატებთან.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს!

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.

* * *

არჩევნებისათვის

ხვალიდან დაიწყება თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს ხელახალი არჩევნები და დათავდება ერთი კვირის განმავლობაში. თბილისის რევოლიუციონურ პროლეტარიატს ერთხელ კიდევ ეძლევა საშუალება თავისუფლად გამოხატოს თავისი ჭეშმარიტი ნებისყოფა, მიანდოს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლა, ქალაქის საქმეების მთელი მოწყობა და წარმართვა იმ ხალხს, რომელიც ამ საქმეს ყველაზე უკეთ შეასრულებს.

ვის ძალუძს ეს?

როდესაც ასეთი კითხვა წამოიჭრა ნახევარი წლის წინედ, საბჭოს პირველ არჩევნების დროს, პროლეტარიატმა ერთსულოვნად გამოუცხადა ნდობა ჩვენს პარტიას, კომუნისტურ პარტიას. და ასეთი არჩევანი მან მოახდინა არა ვინმეს ძალდატანებით და კარნახით, ან ზერელედ და მოუფიქრებლად, არამედ სრულიად თავისუფლად, ჩვენში მოქმედ სოციალურ ძალების პირუთვნელი, სასტიკი შეფასების და საერთო მდგომარეობის სწორი გათვალისწინების შემდეგ.

ვინ არიან ეს ჯგუფები და რანაირია ეს მდგომარეობა?

საბოლოო ანგარიშით ორი მთავარი ძალა დაეტაკა ერთმანეთს და იბრძვიან ეხლაც, როგორც ჩვენში, ისე საერთოდ მთელს მსოფლიოში.

ერთი მხრივ, ექსპლოატატორთა კლასი, ბურჟუაზია და მისი აგენტები და დამქაშები—შემთანხმებელი „სოციალისტები“, მენშევიკები და ყველა მათთან მყოფნი, მეორე მხრივ— რევოლიუციონური პროლეტარიატი.

მენშევიკებმა, რომელთაც ისტორიის უკუღმართობამ სამი წლის განუკითხავი ბატონობა არგუნა ჩვენში, თითქო იმ მიზნით, რათა მათ პრაქტიკულად ცხადეყოთ თავისი მოღალატეობა მუშათა კლასის საქმისადმი,—მოსწყვიტეს საქართველო რევოლიუციონურ მსოფლიოს, რუსეთს და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს და გადააქციეს ის დასავლეთის იმპერიალისტების კოლონიად; მათ აშკარად უარყვეს რევოლიუცია და ბურჟუაზიულ რეაქციის ბანაკში ამოყვეს თავი. ამასთან დაკავშირებით ისინი, ქვეყნის შიგნით, ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებაზე ფიქრობდენ, და ხელს უწყობდენ პროლეტარიატის დამონებას მისი მოსისხლე მტერის, ექსპლოატატორთა კლასის მიერ.

ამ ნიადაგზე შემდგარნი, მენშევიკები, რა თქმა უნდა, ქვეყნის ცხოვრებას ვერ მოაწესრიგებდნენ, ვინაიდან შეუძლებელი იყო ძველი მეთოდებით და საშუალებებით დანგრეული მეურნეობის აღორძინება.

მათ ქვეყნის მსოფლიო ომით ისედაც ძირიან-ფესვიანად შესუდული ეკონომიკა სულ ერთიანად მოშალეს დ მშრომელი მასსა უკიდურეს გაღატაკებამდე მიიყვანეს. კერძოდ, ჩვენი დედა-ქალაქის მეურნეობა პირდაპირ უფსკრულის პირზე დააყენეს და ქალაქის საერთოდ მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილის ელემენტარული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელი გახადეს.

მენშევიკების ასეთ დამღუპველ პოლიტიკას და „შემოქმედებას“ იმ თავითვე შეუპოვრად ებრძოდა საქართველოს რევოლიუციონური მუშათა კლასი რევოლიუციონური ორიენტაცია, როგორც საერთაშორისო დამოკიდებულებათა, ისე საშინაო აღმშენებლობის სფეროში, აი, რისთვის ღვრიდა თავის სისხლს ჩვენი პროლეტარიატი.

და ამ თავგანწირულმა ბრძოლამ, ამ ზღვა სისხლმა ნაყოფი გამოიღო. საქართველოს მუშათა კლასმა გაიმარჯვა. მან დაამხო მენშევიკების და ბურჟუაზია-მემამულეთა ბატონობა და თავისი, მშრომელთა ძალა უფლება დაამყარა. ეს კი ნიშნავდა, როგორც ვთქვით, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ორიენტაციის შეცვლას და შინაური წყობილების ძირიანად გარდაქმნის დაწყებას.

საქართველო განთავისუფლდა უცხოელ იმპერიალისტების კლანჭებიდან და ისევ ძმურად დაუკავშირდა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს. მან მიიღო ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია და საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა აღადგინა და გააჩაღა.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ქალაქის პირველ არჩევნებში ერთი მთავარი ლოზუნგი იყო ფედერაციის საკითხი, და ისიც კარგად ვიცით, თუ რა აღფრთოვანებით და ერთსულოვნად დაუჭირა თბილისის პროლეტარიატმა მას მხარი. და არც შემცდარა იგი ასეთი გადაწყვეტილების მიღებით. შემდეგმა დრომ თვალსაჩინოდ დაამტკიცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის აუცილებლობა და მიზანშეწონილება. ამ კავშირმა ერთად გააძლიერა ჩვენი რესპუბლიკები საერთაშორისო მასშტაბით, საბჭოთა ფედერაციის ერთიანი ფრონტის წინაშე, მაგალითად, გენუის კონფერენციაზე უძლური აღმოჩნდა ბურჟუაზიული მსოფლიო; კიდევ მეტი. ამ კონფერენციაზე მან მთელი რიგი მორალური დ მატერიალური ხასიათის გამარჯვებებიც მოიპოვა. კერძოდ ჩვენი ქვეყანა, საქართველო ამ კავშირის წყალობით სრული დამოუკიდებელია იმპერიალიზმის შავი ძალებისაგან და შედარებით უზრუნველყოფილი მათი თავდასხმისაგან ისე, როგორც არასოდეს.

ჩვენ ხალხს მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა გაეშალა, და მანაც ენერგიულად მოკიდა ხელი ცხოვრების აღმშენებლობას. და ამ სფეროში, ცხოვრების აღორძინების და მისი ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში, მან მოკლე დროში დიდ წარმატებებს მიაღწია.

ამ მხრივ მარტო თბილისი რო ავიღოთ, დავინახავთ, რომ მისი საბჭოს მუშაობა, გაწეული ნახევარ წლის განმავლობაში, ფრიად ნაყოფიერია და მრავალმეტყველი.

მენშევიკებისაგან სრულიად დანგრეულად დატოვებული ქალაქის მეურნეობა საბჭომ აღორძინების და გაჯანსაღების გზაზე დააყენა. ქალაქის წარმოებების მდგომარეობა ფინანსების საქმე დღითი დღე უმჯობესდება. საბჭომ არა მარტო დანგრეული წარმოებები გამართა, ფეხზე წამოაყენა, მან უდიდესი მნიშვნელობის ახალი საქმეები გააკეთა. საკმაოა მიუთითოთ საბურთალოს ჭაობების ამოშრობაზე.

საბურთალო, როგორც ჭაობიანი ადგილი, წარმოადგენდა მალარიის გამავრცელებელ კერას. მისი მცხოვრებნი, ღარიბი მოსახლეობა ამ სენისაგან მასსიურად ხდებოდნენ ავად, იტანჯებოდნენ და წუთისოფელსაც ესალმებოდნენ. არავინ იყო მათი გულშემატკივარი, მხოლოდ მუშებისაგან არჩეულმა საბჭომ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება, მოახდინა ჭაობების გენერალური ამოშრობა და მცხოვრებნი გადაშენებას და ტანჯვას გადაარჩინა.

ასევე მნიშვნელოვანია გაჯანსაღება მადათოვის კუნძულის, რომელიც თავის უსუფთაობით ეპიდემიურ სნეულებათა გავრცელებას — უწყობდა ხელს.

ქალაქის სხვა რაიონების გაჯანსაღება, გამშვენიერება და წესრიგში მოყვანა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ამ მხრივ ბევრი რამ არის შესრულებული და ეხლაც ყოველ დღე შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ გამალებით წარმოებს ქუჩების და სხვა ადგილების შეკეთება-მოწყობა.

პირველი დეპუტატი კომუნისტი

გუშინ მე 4 რაიონის ზოგიერთ საწარმოო დაწესებულებაში უკვე დაიწყო თფილისის საბჭოს არჩევნები. ყოფილ საფაროვის თამბაქოს ფაბრიკაში თფილისის საბჭოში პირველ დეპუტატად არჩეულ იქნა მუშა—ამხ. ომიაძე—კომუნისტი.

ამასთან ერთად საბჭო მთავარ ყურადღებას აქცევდა ქალაქის მოსახლეობის დაკმაყოფილებას საარსებო მოთხოვნილებებით, წყალით, სინათლით დ სხ. მან კაპიტალურად შეაკეთა წყალსადენი, ელექტრონის სადგურები. გარდა ამისა შეუდგა მუშაობას მდინარე არაგვზე უდიდესი ჰიდროელექტრონის სადგურის ასაშენებლად, სადგურის, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქს საკმაო სინათლით და ენერგიით და წყალსადენის მუშაობასაც შესაფერ სიმაღლეზე დააყენებს.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით საბჭოს მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ეს უკანასკნელნი გადაყვანილ იქნენ ბნელ სარდაფებიდან, სადაც ცხოვრებდნენ წინედ, ქალაქის საუკეთესო სახლებში. ქალაქი მათ შეღავათიან პირობებში უწევს ყოველგვარ კომუნალურ სამსახურს.

ჩვენ აქ ვეღარ ჩამოვთვლით სხვა უამრავ საქმეს, რომელიც გააკეთა საბჭომ ნახევარ წლის განმავლობაში. ისედაც ცხადია, რომ პირველმა საბჭომ უდიდესი შემოქმედება გამოიჩინა ქალაქის მეურნეობის აღორძინების და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

და არ შემცდარა თბილისის პროლეტარიატი, როცა ნახევარი წლის წინედ აირჩია ასეთი საბჭო, შემდგარი კომუნისტებისაგან; არ შემცდარა პროლეტარიატი, როცა სრული ნდობა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას. ამ საბჭომ პირნათლად გაამართლა ამომრჩეველ პროლეტარიატის ნდობა ნახევარ წლის თავდადებული მუშაობით.

ამ საბჭოს რწმუნებულების ვადა გაუთავდა. პროლეტარიატი შეუდგა ახალ საბჭოს არჩევნებს. მას გათვალისწინებული აქვს პირველ, კომუნისტური საბჭოსმიერ ნახევარ წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობა და ეხლა უფრო უყოყმანოდ და ერთსულოვნად, ვინემ როდისმე უცხადებს თავის ნდობას კომუნისტურ პარტიას და მის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. მუშათა კლასი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია გამოიყვანს მას დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდან დ სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს. ამიტომაც იგი ახალ საბჭოში გაიყვანს მხოლოდ კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლებს.

თბილისის საბჭოს არჩევნები

თბილისის პირველი საბჭოს ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ, ჩვენი ქალაქის მშრომელები მოწოდებული არიან ხვალიდან, ხელახლა მიმართონ არჩევნებს და არა მარტო შეაფასონ ის პარტია, რომლის წარმომადგენლებს მათ ჩააბარეს წარსული წლის დეკემბერში ბედ-იღბალი დედა-ქალაქის, არამედ ერთსულოვან მსჯავრით დაადასტურონ ერთხელ კიდევ თავისი უორაზროვნო, გადაჭრით უარყოფითი დამოკიდებულება იმ პარტიებთან, რომლებიც უკანასკნელი თვის ბოლო რიცხვებში ჰლამობდნენ მოეწყოთ საქართველოში კონტრ-რევოლიუცია, გამოეწვიათ არევ-დარევა ეკონომიური ცხოვრების, დაშლა მისი აპარატების, პროვოკაცია სისხლის ღვრის და სხვ. და ყოველივე ეს იმისთვის, რომ გადამჭრელი ნაბიჯი გადაედგათ თავიანთ ყოფილი ბატონობის კვლავ აღსადგენათ ჩვენს ქვეყანაში.

მთელი საქართველოს მშრომელმა ხალხმა საკმაოთ შთამაგონებელი პასუხი გასცა ჩვენებურ კონტრ-რევოლიუციონურ ავანტიურისტებს მათ პროვოკატორულ მოწოდებებზე მაისი 24-ნ-დან. მან ერთხელ კიდევ უთხრა მათ, რომ არასფერი საერთო არ აკავშირებს მას იმ ერთგულებთან, რომლებზედაც ასე დახურდავდა ძველი მენშევიკური პარტია. აშკარა შეიქნა მათთვისაც, ვინც ამას ვერ ხედავდა 1 ნოემბრის დ 11 თებერვლის შემდეგ, რომ მშრომელების ის წრეები, რომლებიც ერთ დროს მისდევდნენ ამ პარტიას და მის „ჯარს“ ჰქმნიდენ, დღეს სერიოზულათ განიკურნენ ამ გავლენისაგან და რომ მათ ანარქიულ მოქმედებაში, მათ გამოსვლებში, რომლებიც მოკლებული არიან მასიურ ხასიათს, და იძენენ მხოლოთ მშვიდობიანობისა, სამეურნეო წესრიგის რღვევის მნიშვნელობას, ისინი ხედავენ მხოლოდ თავზე ხელაღებული „მოღვაწეების“ აქტს. დიდი ხანი არ გასულა ამ „გამოსვლების“ შემდეგ. მათი ავტორების სურვილი ბევრათ უფრო შორს მიდიოდა, ვინემ ეს ფიზიკურათ და პოლიტიკურათ მოსახერხებული იყო ამ ვაჟბატონებისთვის. საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანებაზე **დაიმსხვრა** მათი ხელახალი ცდა არევდარევისა და სისხლის ღვრის გამოწვევის. მათ ერთხელ კიდევ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩა: მათი ცდა მიმართული საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამას გაიხსენებს ამ დღეებში თბილისის პროლეტარიატი მიმდინარე არჩევნებში და ერთხელ კიდევ გამოხატავს თავის ნებასურვილებს კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ და კომპარტიის სასარგებლოთ.

თბილისის საბჭოს არჩევნები შეიქნებიან ძლიერ დემონსტრაციათ ჩვენი ქალაქის მშრომელი ხალხის ერთსულოვანებისა და მისი ურყევი ნების ყოფისა რევოლიუციონური რეჟიმის სასარგებლოთ და სოციალ თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

არც ერთი ხმა სოციალ-მოღალატეებს, ყველა ხმა კომუნისტური პარტიის კანდიდატებს!

ბიბლიოთეკა

თბილისის მუშებო, ჯარის-კაცებო და ყველა მშრომელნო! ჩვენი ქალაქის საბჭოს პირველ არჩევნებზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ.

კვლავ ხმა მიეცით ახალი საბჭოს არჩევნების დროს ისევ ჩვენ პარტიას, ბაირაღტარს რევოლიუციისას!

ყველა თქვენი ხმა კომპარტიის-კანდიდატებს.

თბილისის საბჭოს არჩევნებისათვის

ქ. თბილისის საბჭოში მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების არჩევნების მომწყობ ცენტრალურ და სარაიონო კომისიებისაგან.

არჩევნების რიგი და განაწილება წარმოებათა და პროფკავშირთა მიხედვით.

1 რაიონი.

ორშაბათს 19 ივნისს: 1) მთავარი სახელოსნოები.

2) რკინის გზელთა საუბნო პროფესიონალური კავშირი საუბნო სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება და გარაჟი.

სამშაბათი: 1) დეპო.

2) ამიერ-კავკასიის ცენტრალური სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება და რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირი.

3) სალიანდაგო ნაწილის მე 6 უბანი.

ოთხშაბათი: 1) რკინის-გზათა სამმართველო.

2) საავადმყოფო და ჯანმრთელობის განყოფილება.

3) ტიპო-ლიტოგრაფია.

ხუთშაბათი: 1) რკინის გზის მილიცია და დამცველი რაზმი.

2) სარაიონო მილიცია და 1 რაიონის შინა-მრეწველნი.

3) საბარგო სადგური.

მე-2 რაიონი.

ორშაბათი: 1) დილის 6 საათზე—ტრამვაი და ტრამვაის ელექტრონის სადგური.

2) დილის 11 საათზე რაიონის ყველა თამბაქოს, კერძო და სახელმწიფო ქარხნები და პირველ კოლოფების ფაბრიკა—ყოფ. სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკის შენობაში.

3) დღის 2 საათზე — არსენალის რაიონი (არსენალი, საარტილერიო საწყობი და საინჟენერო საწყობი) არსენალის კლუბის შენობაში.

სამშაბათი: 1) დილის 10 საათზე სარაიონო მილიცია (8, 9, 10 და 12 კომისარიატებისა) მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში.

2) დილის 2 საათზე—ყველა წარმოებანი, რომელიც ეკუთვნის ლითონის განყოფილებას და ყველა კერძო წარმოებანი, ლითონის დამმუშავებელ წარმოებისა—ლითონის განყოფილების სამმართველოს შენობიში (ელისაბედის ქ. № 119).

3) საღამოს 5 საათზე—წყლის წისქვილები, პურის კერძო საცხობები, და ყველა წარმოებანი, რომელიც ეკუთვნის გემო-კვების კავშირს—26 კომისარის სახელობის კლუბის შენობაში. (მადათოვის კუნძული).

ოთხშაბათი. 1) დილის 8 საათზე სამკერვალო ფაბრიკა და 2 რაიონის ყველა მკერავთა კავშირის მუშები—სამკერვალო ფაბრიკის შენობაში, მელიქაშვილის ქ. № 5.

2) დილის 11 საათზე 2 რაიონის ხე ტყის მასალათა დამმუშავებელნი (სამხედრო სახერხავი ქარხანა, დგამის ფაბრიკა და ყველა ქარხნები, რომელიც ეკუთვნის სახალხ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო კომიტეტს და კერძო ქარხნები)—სამხედრო სახერხავ ქარხნის შენობაში (მადათოვის კუნძული)

3) დღის 2 საათზე—კავკასიის ცალკე არმიის—ავტომობილების სახელოსნოები, არმიის ტვირთსაზიდი საშუალებათა სარემონტო ქარხანა და წარმოებანი, რომელიც ეკუთვნის სამხედრო საინჟინერო სამმართველოს—კავკასიის ცალკე არმიის ავტო სახელოსნოების შენობაში.

4) საღამოს 5 საათზე—მებაღები, აფთიაქების მუშები, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალურ განყოფილებისა და წყალსადენისა—26 კომისარის სახელობის კლუბში მადათოვის კუნძულზე.

ხუთშაბათი 1) დილის 8 საათზე—ცენტრალურ სატრანსპორტო განყოფილების ცენტრო-გარაჟი, ტრანსპორტის ავტო რაზმი და სატვირთსაზიდო საშუალებათა მუშები ცენტრო-გარაჟის შენობაში დიდი მთავრის ქუჩა № 30.

1) დღის 2 ს.—მუშები შინამრეწველობის, საბრეშუმო სადგურის ობსერვატორიას, აბრეშუმის საფეიქრო სახელოსნოების, ოგანიანის სახელოსნოების და კერძო წარმოებათა, რომელიც ეკუთვნიან საფეიქრო წარმოების კავშირს-შინა მრეწველობის კომიტეტის შენობაში (მუშტაიდი).

3) საღამოს 5 საათზე თანამშრომელნი მუშათა ცენტრალური კლუბისა, 2 რაიონის ყველა საბჭოთა სახლებსა, 2 რაიონის ყველა კინო-კლუბებისა და თეატრების მოსამსახურენი—მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში.

პარასკევი 1) დღის 2 საათზე—მთლიანი მუშ. კოოპერატივი, ამიერკავკასიის მუშათა ცენტრალური კოოპერატივი, ამიერკავკასიის კავშირი, სურ. სახ. კომისარიატის ცენტრალ საწყობი, მუშათა მთლიანი კოოპერატივის ტვირთსაზიდ საშუალებათა მუშები, სასურსათო სახ. კომისარიატის ტვირთსაზიდ საშუალებათა მუშები და 2 რაიონის კერძო წარმოებათა ტყავეულობის მუშები—სახალხო სახლის შენობაში.

2) საღამოს 5 საათზე—ომში დასახიჩრებულ მეომართა კავშირი (კავშირის ბინაზე)

შაბათი 1) საღამოს 5 საათზე—ყველა საავადმყოფოები და 2 რაიონის საბჭოთა აფთიაქების თანამშრომლები და 2 რაიონის მედიკო სანიტარული მუშაკების კავშირი.

4. რაიონი.

ორშაბათი. დღის 1 საათზე—ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, კომუნალური მეურნეობის განყოფილება, ცეცხლის მქრობელთა რაზმი და ელექტრონის სადგურის მუშები—სახელმწიფო ოპერის თეატრი.

დღის 3 საათზე—ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის პოლკი—სახელმწიფო ოპერის თეატრში.

საღამოს 5 საათზე—ტყავეულობის მუშები—კავშირში.

სამშაბათი. დილის 9 საათზე—მეპურები — სახელმწიფო ოპერის თეატრში.

დღის 12 საათზე—საბჭოთა დაწესებულებების 1-ლი ჯგუფი—სახელმწიფო ოპერაში.

საღამოს 6 საათზე—სახალხო კავშირის მუშები—პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

ოთხშაბათი. დღის 12 საათზე—მედიკო-სანიტარული მუშაკები — სახელმწიფო ოპერის თეატრი.

დღის 12 საათზე—მკერავები—საქ პროფეს. კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

საღამოს 6 საათზე—სახალხო კვების და შინამოსამსახურეები და საქართველოს საგანგებო კომისიის მსროლელი პოლკი—პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

ხუთშაბათი. საღამოს 6 საათზე—მიწა ტყის კავშირის მუშები—პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

პარასკევი დღის 1 საათზე საბჭოთა დაწესებულებების 2 ჯგუფი—სახელმწიფო ოპერაში.

ხელოვნების და განათლების მუშაკთა კავშირის შესახებ დამატებით იქნება გამოცხადებული.

მე 3 რაიონის არჩევნების ნუსხა დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

საბჭოს ხელახალი არჩევნების მომწყობი ცენტრალური და რაიონული კომისიები სთხოვენ პროფკავშირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაესწრონ ზემოხსენებულ არჩევნებს, და აგრეთვე მოაწყონ ცნობები იმ წარმოებათა შესახებ, რომლებიც არ შედიან მოყვანილ სიაში, რათა ეს წარმოებებიც იქნას შეტანილი არა უგვიანეს ამ წლის 21 ივნისის ოთხშაბათისა.

საბჭოს ხელახალი არჩევნების მომწყობი ცენტრალური კომისია.

მუშებს და მუშა-ქალებს

მუშები და მუშა ქალებო! იწყება არჩევნები ტფილისის საბჭოსი ხელახალი რომელიც უნდა გადაიქცეს საომარ შტაბად ჩვენი ბრძოლის და გამარჯვების სამეურნეო ფრონტზე. **ასეთად შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საბჭო, რომლის სათავეში იდგომება კომუნისტური პარტია.**

ამხანაგებო! აირჩიეთ საბჭოში ისეთი პირები, რომელთაც საქმით დაამტკიცეს ერთგულება მუშათა კლასისადმი და რომელთაც იციან მუშაობა, ბრძოლა, გამარჯვება და სამეურნეო ნგრევის დაძლევა!

ჩვენი ხელისუფლების ორგანოში არ აქვთ ადგილი მუშათა კლასის მოღალატეთ და გამყიდველებს—მენშევიკებს და სხვა სოციალ-თეთრგვარდიელებს:

1) არ აქვთ ადგილი საბჭოში იმათ, რომელთაც მსოფლიო ბურჟუაზიასთან ერთად სურთ დაარღვიონ საბჭოთა ხელისუფლება.

2) არ აქვთ ადგილი საბჭოში იმათ, ვინც შეუერთდა ყველა კონტრრევოლიუციონურ პარტიებს და საავის მ ზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

3) არ აქვთ ადგილი საბჭოში მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლთა მკვლელების დამცველებს, იმ წინამძღოლთა, რომელთა სახელები აღფრთოვანებს ბრძოლისა და გამარჯვებისათვის მუშათა მილიონებს.

4) ყველა ისინი, რომელთაც მონობის ბორკილებმა დაამჩნიეს სისხლიანი ჭრილობა, გაგზავნიან საბჭოში კომუნისტებს.

5) ყველამ, ვინც მომხრეა ნგრევის დაძლევისა, სამეურნეო ცხოვრების აღდგენისა, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობისა, ხმა მიეცით კომუნისტებს.

6) ყველამ, ვინც მომხრეა მუშათა ერთიანი ფრონტისა, კაპიტალიზმთან უკანასკნელ შეტაკებისათვის, ხმა მიეცით კომუნისტებს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

რადიო-დეპეშები

„კავროსტა"-საგან

ატმოსფერული მიზეზების გამო დღეს მოსკოვიდან რადიო არ მიგვიღია.

რუსეთის დელეგაცია ჰააგაში

მოსკოვი. 16 ივნისი (რადიო). 19 ივნისს ჰააგაში გაემგზავრება რუსეთის დელეგაცია, გარეშე საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, ფინანსთა სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების და უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე რაკოვსკის შემადგენლობით.

ჰააგის თათბირი

ჰააგის თათბირის გახსნა.

ნაუენი. 16 ივნისი. 15 ივნისს, დილით დაიწყო მუშაობა ექსპერტთა კომისიისა ჰააგაში. კომისიის მუშაობა დაიწყო მისალმებით და ბარათის კითხვით, რომელიც მიიღო კომისიამ ჰოლანდიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან. ბარათი გამოქვეყნებული იქნა გარეშე საქმეთა მინისტრის კერნებეკის მიერ.

სტინესის ჩამოსვლა.

ბერლინი. 16 ივნისი. ჰააგაში ჩამოვიდა სტინესი. საფრანგეთის პრესა აკუთვნებს ამას დიდ მნიშვნელობას.

ჩამოვა ამერიკის მთავრობა.

ნაუენი. 16 ივნისი. მიუხედავად ევროპის პრესის მოსაზრებებისა, შეერთებული შტატები ოფიციალურად არის წარმოდგენილი ჰააგის კომისიაზე ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლად იქნება შეერთებულ შტატების წარმომადგენელი ნიდერლანდში.

რუსეთ ინგლისის შეთანხმება.

ბერლინი 16 ივნისი. „მატენი" იტყობინება: **„მატენის" კორესპონდენტის სიტყვით ბრიტანეთის მთავრობა ჰააგაში, სდგას რა იგი რუსეთთან მორიგების აუცილებლობის თვალსაზრისზე, შეეკრა საბჭოთა მთავრობას შეთანხმებით ყველა საქმიან ხასიათის საკითხების გარშემო.**

რუსეთის წარმომადგენლობა.

ბორდო. 16 ივნისი. საფრანგეთის გაზეთების ცნობით საბჭოთა რუსეთის დელეგაცია ჩავა ჰააგაში 19 ივნისს. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ლიტვინოვი, რაკოვსკი და კრასინი.

პასუხი საფრანგეთის მემორანდუმზე.

ლიონი. 16 ივნ. იტალიის ელჩმა პარიზში სფორცამ გადასცა პუანკარეს იტალიის მთავრობის პასუხი საფრანგეთის მემორანდუმზე ჰააგის შესახებ.

ბორდო. 16 ივნისი. იტალიის მთავრობა თავის პასუხში საფრანგეთის მემორანდუმზე აღნიშნავს, რომ ექსპერტები უნდა შეუდგნენ თავიანთ მთავრობების შეხედულებათა განსჯას ამ საკითხების გარშემო, რომელიც აინტერესებს ევროპის მთავრობებს, რუსეთის პრობლემის გადასაწყვეტად. სწორედ ამისათვის მთავრობებმა უნდა დანიშნონ ექსპერტთა კომისიაში ისეთი პირები, რომელიც საკმაოდ ავტორიტეტული არიან და ამავე დროს სავსებით გამოხატავენ თავიანთ მთავრობების შეხედულებებს. უცხოეთის კომისიის მუშაობა უნდა განისაზღვროს იმ.თ, რომ მან უნდა გამოიმუშაოს მუშაობის გეგმა მეორე კომისიისათვის, რომელიც დაიწყებს მუშაობას 25 ივნისს. მომავალ მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედვას კანის დადგენილებანი. არსებითად იტალიის მთავრობა იზიარებს საფრანგეთის მთავრობის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ექსპერტთა კომისიის მუშაობის პროგრამა უნდა განისაზღვროს სამი მუხლით; და სახელდობრ: საკითხი სესხის, ვალების და კერძო საკუთრების შესახებ. დასკვნაში იტალიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ის ვერ ხედავს აუცილებლობას, რუსეთის მემორანდუმის უკან წაღებისათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ესტონელების პროცესის გამო.

მოსკოვი. 8 ივნისი. წინასწარი გამოძიება ესტონელების საქმეზე თითქმის დამთავრებულია. უკვე შეუდგენ საბრალმდებლო ოქმის შედგენას. უკანასკნელ დროს კიდევ დაპატიმრებული იქნენ დამატებით და გამოძიებაში მიცემული ახალი პირები ესტონეთის საკანტროლო კომისიის შემადგენლობიდან, რომელიც შემჩნეულნი არიან ჯაშუშობათა მთელ რიგში. გამოძიების მასალა შესდგება სამი ძირითადი ტემისადან, რომელიც გამოხატავს პეტროგრადში ესტონელების მოქმედებას. აქ არის ჯაშუშობა, ტერორში მონაწილეობაც, კონტრაბანდაც და სხვა. მომავალ პროცესის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს გრიუპერი. მოიპოვა რა ესტონეთში ეგრედ წოდებული მინისტრის პორტფელი 400,000 მარკით, ის მოდის პეტროგრადში და დგება სამსახურში მისიაში, ამავე დროს ესტონეთის მთავრობის უწყებებში ამ ვაჟბატონის სახელი აღნიშნულია მოსაძებნად სისხლის სამართლის ბოროტმოქმედთა შორის, და მეორეს მხრით კი აღნიშნულია მკვდართა შორის.

საკონტრაქტო ბაზარი.

მოსკოვი. 8 ივნისი. უახლოეს მომავალში პეტროგრადში გახზრახულია საოლქო საკონტრაქტო ბაზრობის მოწყობა, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიზიდული იქნება ტრესტები, კოოპერატივები და ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქის სხვა სასამეურნეო ორგანიზაციები.

დამშეულთა დახმარების მუშათა საერთაშორისო კომიტეტის მოხსენებიდან.

მოსკოვი 8 ივნისი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ დამშეულთა დახმარების ცენტრალური კომიტეტის 7 ივნისის სხდომაზე საზღვარგარეთ დამშეულთა დასახმარებლად მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა დამშეულთა დახ. საერთ. მუშ. კომიტეტის თავმჯდომარე მიუნცერბერგი. დამშეულთა დახმარების საერთაშორისო მუშათა კომიტეტმა შეაგროვა საზღვარ-გარეთელ პროლეტარიატს შორის სულ 800 მილ. მარკა. შესყიდულ სურსათის 20000 ტონის რაოდენობიდან—15000 ტონა უკვე მოვიდა რუსეთში 1 მაისამდე, 2000 ტონა გზაშია, და 3000 ტონა იტვირთება გამოსაგზავნად. საერთაშორისო კომიტეტმა გადასწყვიტა მტკიცედ განაგრძოს რუსეთის დამშეულების დახმარება, ამასთანავე კი არ განსაზღვრონ მისი დამშეული ტერიტორია, არამედ დაეხმარონ საერთოდ რუს მუშებს. ასტრახანში

წერილები ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

IV *)

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა. ასეთი მდგომარეობა შექმნილი არის მრავალგვარი რთული მიზეზებისაგან. ბევრი აჩქარებული არის და სასწრაფოდ ეძებს გამოსავალს; სასწრაფო გამოსავალი კი ჯერ ვერავის გამოუძებნია და ზოგი მზად არის სასოწარკვეთილებას მიეცეს, ზოგი კი გაშმაგებული არის და დანაშაული უნდა მოახვიოს ვინც მოხვდება ხელში.

ჩვენ ვთქვით, მდგომარეობა მძიმეა. ის მომზადებულია წარსული ისტორიის მსვლელობით. ძველმა მთავრობამ არაფერი არ შექმნა საქართველოში, არ დაუდო საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას მკვიდრი ნიადაგი, ვერ გამოიყენა ყველა ის ძალები, რომელიც საქართველოში არის. ომიანობამ კი დაანგრია მცირე ნამოქმედარიც კი. ომიანობამ წელში გასტეხა ძლიერი სახელმწიფოებიც. რამდენათ საქართველო ეკონომიურათ სუსტი იყო, იმდენად ომიანობის ზედ გავლენა, ეკონომიური ცხოვრების ნგრევა მეტი იყო, ომიანობის შედეგებს დაერთო რევოლიუცია, ისტორიაში უდიდესი კლასთა ბრძოლა. რევოლიუცია არის ძველ ურთიერთობათა ნგრევა და ახალის წარმოშობა.

ასეთი რთული პირობების ზეგავლენით გვიხდება ეკონომიური ნიადაგის განმტკიცება, ახალი ეკონომიური ურთიერთობის დამყარება. ეკონომიური მდგომარეობის გაძლიერება, საწარმოო ძალთა აღორძინება ძლიერ ძნელია; ეს მოითხოვს დიდ გამჭრიახობას, და განსაკუთრებით დიდ მოთმინებას და თავგანწირულებას.

ოთხი წლის საერთაშორისო ომიანობამ გაანადგურა ეროვნული სიმდიდრე. ამ სიმდიდრის განიავება უფრო სწრაფად მოხდა ეკონომიურად უფრო დაქვეითებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებში. მაშასადამე, შეუძლებელი არის ეკონომიური ნიადაგის ისე სწრაფად და საჩქაროდ აღდგენა, როგორც ეს ბევრს ეჩვენება. მხოლოდ თან და თანობით, გულმოდგინე მუშაობით, შეიძლება ეკონომიური ურთიერთობის მოგვარება.

ეკონომიური პოლიტიკა უნდა იქნეს მწყობრი, რომელიც გაითვალის წინებს სამეურნეო მშენებლობის გეგმას. დღეს რა მდგომარეობა არის: გაღატაკებული მეურნეობა, მცირე ნაყოფიერება წარმოების უკიდურესათ შემცირებული დაკმაყოფილება მოთხოვნილების, არეული ტრანსპორტი და დაშლილი ფულის ტრიალი. წინა წერილში განმარტებული იყო გეგმა მეურნეობის მომავალი შენების, ამ დებულებასთან პირდაპირ არ ის დაკავშირებული ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი: სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგებს შორის ურთიერთობის ჩვენი დებულება იყო: უაღრესი ყურადღება და ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის იმ დარგების, რომლების გაძლიერებას აქვს ნიადაგი და რომელიც საერთაშორისო ბაზარზე აიტანს მეტოქეობას და არ დაიღუპება.

სახელმწიფო და მეურნეობა—აი საჭირბოროტო საკითხი.

საერთაშორისო ომიანობამ ეს საკითხი დააყენა და ნაწილობრივ გადასჭრა კიდეც. საერთაშორისო ომიანობის დროს სახელმწიფომ აიღო სურსათ სანოვაგის განაწილების საქმე. მან გამოაცხადა მილიტარიზაცია სატრანსპორტო საშუალებათა და ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. რკინის გზების წესიერ მუშაობას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო საქმეების წარმოებაში და სახელმწიფომ შელახა კერძო საკუთრების საფუძველი და ჩაერია სატრანსპორტო საქმეებში. მოსახლეობის გამოკვება სურსათ სანოვაგის სიმცირის გამო ძნელი შეიქმნა, სახელმწიფო ზრუნავს ამ საქმეზედ. ნახშირის, ნავთის სიმდიდრეები აგრეთვე განიცდიან სახელმწიფოს უკიდურეს ზედამხედველობას, თავისუფლება სათბობი მასალის წარმოებაში და ვაჭრობაში შეზღუდული იყო საგარეო ვაჭრობის თავისუფლებაც ძლიერ შეირყა: თითქოს ყველგან ევროპაში შექმნილი იყო „კონტინგენტი" ესე იგი მთავრობამ განსაზღვრა თავისუფლება საქონლის გაზიდვის და შემოზიდვის, თავისუფლება საგარეო ვაჭრობის.

რითი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო? მან დაუპირდაპირა კერძო მისწრაფება, კერძო მიდრეკილება კაპიტალის ომიანობის მოთხოვნილებას; ამ დაპირდაპირების შედეგი იყო შეკვეცა კერძო კაპიტალის მოქმედების უსაჭიროეს დარგებში. სახელმწიფო შეეხო კერძო საკუთრებას, კერძო კაპიტალს, ვინაიდგან ომიანობის შედეგი იყო საკითხი სახელმწიფოს ყოფნა არ ყოფნის.

ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ევროპაში ასეთი მოქმედება იყო დროებითი. გათავდა ომი და სახელმწიფომ უარყო ეკონომიურ ურთიერთობაში ჩარევის უფლება. დროებითი შევიწროება მოიხსნა და ევროპის ეკონომიური პოლიტიკა დაუბრუნდა ძველ გზას: კერძო საკუთრება, კერძო შემოქმედება ის ისტორიული სიწმინდეა, რომელსაც სახელმწიფო არ ეხება. ძველი პოლიტიკა აღორძინდება.

საერთაშორისო ომიანობის გამოცდილება საყურადღებო არის: გამოდის, რომ თუ სახელმწიფო ინტერესებისათვის საჭირო არის, შეიძლება მას მსხვერპლად შეეწიროს კერძო საკუთრება, კერძო კაპიტალი. სახელმწიფო ინტერესების წინაშე ქედი უნდა მოიხაროს კერძო კაპიტალმა და კერძო მეურნეობამ. ეს დებულება უნდა მივიღოთ. კერძო კაპიტალის ნაწილობრივ შეკვეცის აზრი იყო კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვება. სახელმწიფო დროებით „მსხვერპლს" ითხოვდა. ამ ჟამათ აწეწილ-დაწეწილ მეურნეობის ხანაში ჩვენ გამოვდივართ იმ მთავარი სახელმძღვანელო დებულებიდან, რომ სახელმწიფო ვალდებული არის ეროვნულ მეურნეობას ჩაუდგეს სათავეში, რატომ? იმიტომ, რომ მეურნეობა დანგრეული არის, დანგრეულს აღდგენა უნდა, აღდგენას კი გეგმა და ხელმძღვანელი სჭირდება. ასეთი ხელმძღვანელობა უნდა მიეკუთნოს სახელმწიფოს, რომელიც ისტორიულ ვალად იდებს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას. სახელმწიფო რთული ორგანიზაცია არის მოწესრიგებელი მეურნეობის. მეურნეობის მოწესრიგება არის აუცილებლობა თანამედროვე პირობებში. როდესაც ჩვენ ვიზიარებთ სახელმწიფოს უზენაეს ჩარევას მეურნეობაში, ვიზიარებთ აუცილებლობას მეურნეობის ხელმძღვანელობის სახელმწიფოს მიერ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ეს ხელმძღვანელობა, სახელმწიფოს მეურნეობა შეეხება ეკონომიური ნიადაგის მთავარ დარგებს.

რა დარგებია მეურნეობის, რომელიც სახელმწიფომ უნდა აწარმოოს? დარგები მრავალია: რკინის გზების, სამთო-მადნო დარგი, სხვილ, მთავარი წარმოებანი მრეწველობაში, ვერც ერთ ამ დარგებს სახელმწიფო ხელიდან ვერ გაუშვებს. სადავე ეკონომიური ცხოვრების სახელმწიფოს ხელში უნდა იქნეს, მხოლოდ ასეთ პირობებში შესაძლებელი არის დანგრეული მეურნეობის მოწესრიგება. სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში სადავე არა მარტო წარმოებაში, არამედ ვაჭრობაში, სახელმწიფო ამ გზას უკვე დაადგა: ქვანახშირის ნაციონალიზაცია, მონოპოლია სათბობი მასალის ვაჭრობის, სამთო-მადნო მრეწველობის დარგების ნაციონალიზაცია და მონოპოლია მისი ნაწარმოების ვაჭრობის. მონოპოლია სახელმწიფოსი აბრეშუმის, მატყლის და სხვა.

ჩვენ გვინდა შევეხოთ მონოპოლიების საკითხს. სანიმუშოთ ავღოთ 9 ივანობისთვეს გამოცხადებული მონოპოლია მატყლზედ. მონოპოლიის საკითხი ძლიერ რთული და საჭირბოროტო საკითხი არის. გავარკვიოთ დებულებანი ამ ახალი მონოპოლიისა, მთავრობის განკარგულებანი მონოპოლიის შესახებ სხვა საქონელზედ იმავე დებულებებზედ არის აგებული.

სახელმწიფო აცხადებს, რომ მატყლის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკის საზღვრებში, ევროპის ბაზარზედ გატანა არის სახელმწიფო მონოპოლია. ესე იგი განსაკუთრებული უფლება მთავრობის და გარდა მთავრობისა ამის უფლება არავის არა აქვს. მთავრობის მონოპოლია შეეხება მხოლოდ ნაწარმოების გასყიდვას. ასე თივე შინაარსის იყო მონოპოლია მთავრობის მიერ გამოცხადებული აბრეშუმზედ.

რა მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდეს მთავრობა მონოპოლიის მატყლზედ გამოცხადებისას? მონოპოლიის განხორციელებაში არის ორი მხარე: მთავრობა და მწარმოებელი. მათ შორის მესამე არავინ არის. წარმოება და გასაღება. დასაბამი არის წარმოება. თუ ნაწარმოების გასაღება არ მოხდა ხელსაყრელ პირობებში, თუ მწარმოებელმა ვერ აინაზღაურა ხარჯები წარმოების, თუ არ ნახა მოგება, ის წარმოებას თავს გაანებებს, მოკიდებს ხელს სხვა დარგს მეურნეობისას.

მეცხვარეობა ჩვენში არის უძველესი და თვალსაჩინო დარგი მეურნეობის. მას დიდი მომავალი აქვს საქართველოში; ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ მის გაძლიერებას და განვითარებას. მეცხვარეობა, რომ ძლიერი დარგი არის სჩანს შემდეგი ცნობებიდან,—აღმოსავლეთ საქართველოში თითო მეურნეობაში არის: ცხენი—0,4, სხვილ ფეხი საქონელი—4,2, ღორი—0,5 თავი,—ცხვარი და თხა—10,2 თავი. თითო მეურნეობას ყავს სხვა და სხვა საქონელი—15,4 თავი, მათ შორის ცხვარი და თხა—10,2 თავი. ზოგიერთ მაზრებში მეცხვარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში თითეულ მეურნეობას ყავს 25,7 თავი სხვა და სხვა საქონელი, ცხვარი და თხა—18,5; ბორჩალოს—23,7 თავ საქონელში ცხვარი და თხა არის—16,1; დუშეთის—20,9 თავ საქონელში—16,4 თავი.

დასავლეთ საქართველოში მეცხვარეობა არ არის. აღმოსავლეთ საქართველოში მეცხვარეობა არის საფუძველი მესაქონლეობის და ერთ საფუძველთაგანი საერთოდ მეურნეობის.

მატყლზე მონოპოლიის გამოცხადებით მთავრობა უკრძალავს ყველას მატყლის ვაჭრობას. მწარმოებელი ვალდებული არის ნაწარმოები მთავრობას ჩააბაროს. თვით წარმოებაში მთავრობა არ ერევა.

კანონის ამ მუხლის თანახმად მთავრობა თითქოს ივიწყებს მწარმოებელს, გამოდის რომ მთავრობა მოწადინებული არის მიიღოს მხოლოდ სხვისი ხელით დამზადებული საქონელი. ეს რომ ასე მოხდეს, ეს კანონი დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს, ასეთი აზრი რომ ქონდეს კანონმდებელს კანონი დაუყონებლივ დავიწყებული უნდა იქნეს. ნაწარმოების განაღდება არის შედეგი წარმოების, თუ წარმოებას არ ექნა საფუძველი, თუ ნაწარმოების ღირებულებას მიითვისებს მთავრობა, გავა მოკლე ხანი და წარმოება მოისპობა და მთავრობას აღარაფერი ექნება გასასაღებელი. მაშასადამე, აზრი მონოპოლიის სხვაგან უნდა ვეძიოთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მონოპოლიის აზრი არის წარმოების გაძლიერება, აყვავება და არა მოსპობა. როდესაც მთავრობა აცხადებს მონოპოლიას, სპობს შუამავალს მეცხვარე მწარმოებლისა და ბაზრის შორის ის უკვე დიდ საქმეს აწყობს, შუამავალის მოსპობა არის მოსპობა იმ მოგების, რომელიც ეკუთვნის მწარმოებელს, მაგრამ მწარმოებელი კარგავს ამ მოგებას და ბაზრის პირობების სარგებლობა რჩება შუამავალს. მონოპოლია კი ვალდებული არის შუამავლის მოგება, კერძო პირის მოგება შეუნახოს მწარმოებელს, დაუბრუნოს მწარმოებელს, შემატოს მას, რათა მწარმოებელმა შესძლოს წარმოების განვითარება და გაძლიერება. ეს არის მთავარი აზრი მონოპოლიის, ეს არ უნდა იქნეს დავიწყებული. როდესაც მწარმოებელსა და ბაზარს შორის არის შუამავალი, წარმოების მოგება მას რჩება, მთავრობა რომ ამ გზას დაადგეს მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება მწარმოებელი ვერას მოიგებს.

სახელმწიფო მონოპოლიის აზრია არა მოგება მთავრობის, არა გაყვლეფა მწარმოებლის, არამედ მისი გაძლიერება. შუამავალის ჩამოშორება უნდა გულისხმობდეს მწარმოებლის მოგების გადიდებას. მაშასადამე მთელი საკითხი არის ნაწარმოების ფასების განსაზღვრაში კანონმდებელი იმ აზრისა არის, რომ ნაწარმოების ფასების დაწესება ხდება მწარმოებლების წარმომადგენლებთან ერთად მწარმოებლების წარმომადგენლების ვალდებულება არის ყოველთვის პირნათლად და სამართლიანათ გამოარკვიოს ფასები ფასების გამორკვევას და დაწესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მეცხვარეობა ომიანობის შემდეგ დიდ გასაჭირში ჩავარდა. მეცხვარე ერთ ფუთ მატყლში ომიანობამდე იღებდა 3—5 მანეთამდე. ერთი მატყლის ღირებულების სამაგიეროთ ის იღებდა 2, 5—4,1 ფუთ ხორბალს ანუ 3, 7—6,2 ფუთ ნახევარ სიმინდს. ა. წ. 10 მაისს მაგალითად მატყლი ფასობდა 600,000 მან, ხორბალი 400,000 მან., სიმინდი—205,000 მ. მაშასადამე მეცხვარე ერთ ფუთ მატყლში იღებდა ნახევარს, ზოგჯერ ორჯერ ნაკლებ იმისას, რასაც იგი ომიანობამდე იღებდა. მატყლის ფასი იმდენათ არ გაიზარდა, რამდენათაც გაიზარდა ხორბალის, მარილის ფასი. მეცხვარეს მუშაობა განსაკუთრებული ხასიათის მუშაობა არის, უფრო მძიმე, მუდმივი და შეუჩერებელი.

მეცხვარეობამ ომიანობის გამო დიდი ცვლილება განიცადა, შევიწროვდა, მან დაკარგა ნაწარმოების ფასები, მეცხვარეობისათვის საჭირო ნივთების ფასები კი ძლიერ გაიზარდა. ცხვრის ყველი ომიანობამდე ფასობდა 7 მ. და 50 კ. რაც უდრიდა 6 ფუთი ხორბლის ფასს. ამ ჟამათ ფუთი ყველი ფასობს 400,000 მანეთი, რაც უდრის ოქროს სამ მანეთს, დაახლოვებით ერთი ფუთი ხორბალის ღირებულებას.

მატყლის ფასების განსაზღვრა მთავრობის და მწარმოებლების შორის შეთანხმებით, როგორც კანონში არის განსაზღვრული, აუცილებელი თავდებია იმისა, რომ ყოველგვარი შეცდომა იქნება თავიდან აცილებული და ორივე მხარე სწორ და სიმართლიან გზას გამონახავენ.

მთავარი საკითხი მატყლის მონოპოლიაში არის მატყლის გასაღება. შინაური ბაზარი ვიწროა მთელი იმ მატყლისათვის, რომელიც საქართველოს მოსდის. წარსულში დიდი ნაწილი მატყლისა გადიოდა რუსეთის ბაზარში. ევროპაში ჩვენი მატყლის გატანის ცდამ დაამტკიცა, რომ საქართველოს მატყლი თავისუფლად

---

*) იხ. „კომუნისტი", № 125.

ჩვენი ქალაქის ხალ საბჭოში კომპარტიის კანდიდატების არჩევით, თბილისის პროლეტარიატმა კიდევ ერთი განაჩენი უნდა გამოიტანოს კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების მეთაურებზე, მენშევიკებზე და მათ მაჩანჩალა მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებზე.

არც ერთი ხმა პროვოკატორებს!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის კანდიდატებს!

უკვე დახმარებას უწევენ თევზის მრეწველობის 25000 მუშას. მოწყობილია ჩექმების ქარხანა, რომელიც დღეში ამზადებს 700 წყვილ ფეხსაცმელს. სწარმოებს მოლაპარაკება ფოთის ახლოს მდებარე მარგანეცის მაღაროების კონცესიებით აღებით და მუშავების შესახებ, ქალაქებში სახლების შეკეთების შესახებ და სხვა.

დახმარება, რომელიც გადასწყვიტა გაუწიოს რუს მუშებს საზღვარგარეთელ პროლეტარიატმა, უნდა გამოიხატოს რუსეთის სამრეწველო ცენტრის და სასოფლო სამეურნეო კულტურულ რაიონების მუშებისადმი კოლექტიურ დახმარებაში. კოლექტიური დახმარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს პეტროგრადის მუშების მიმაგრება, მაგალითად, ბერლინზე, მოსკოვის ლონდონზე, კიევის ან ოდესის პარიზზე და სხვა. მიმაგრებულ რაიონების მუშები უგზავნიან რუს მუშებს ფაბრიკა ქარხნებზე 500 მარკის ღირებულების ამანათს.

სავაჭრო სამრეწველო ბანკის მოწყობისათვის.

მოსკოვი. 8 ივნისი. 7 ივნისს შესდგა სავაჭრო სამრეწველო ბანკის მომწყობ ტრესტების წარმომადგენელთა ინიციატორების ჯგუფის თათბირი. თათბირმა საჭიროდ სცნო ბანკის მოწყობისთვის აუცილებელ საშუალებათა გამონახვა, სახელმწიფო ხაზინისადმი დახმარების თხოვნის გარეშე. ძირითადი თანხა, გადაწყვეტილია, შეგროვებულ იქნას ხელის მოწერით იმ პირობით, რომ პაიების უმეტესობა უნდა დაეთმოს სახელმწიფო წარმოებებს: გადაწყვეტილია ხელის მოწერის დროს მიიღონ, როგორც ფული ისე საქონელი. ბანკის ძირითად თანხად განზრახულია 5 მილ. ოქროს მანეთი. ტრესტების წარმომადგენელთა წინასწარი დაკითხვებიდან გამოირკვა, რომ ძირითადი თანხა დაფარულ იქნება მსხვილი ტრესტების მიერ.

შრომის არტელები.

მოსკოვი. 8 ივნისი. შრომის სახალხო კომისარიატი ამთავრებს შრომის არტელების და საპასუხისმგებლო შრომის ამხანაგობათა შესახებ დებულებების პროექტის დამუშავებას. გამომუშავების შემდეგ პროექტი გადაეცემა შესასწორებლად და შესათანხმებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატს და სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს, რის შემდეგ შეტანილი იქნება დასამკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ევროპის მდგომარეობა.

ნაუენი. 16 ივნისი. ლოიდ-ჯორჯმა მიიწვია ლონდონში მორგანი იმ საკითხების ერთად განსახილველად, რომელიც ეხება ევროპის ფინანსიურ მდგომარეობას და ფინანსიურ კრიზისთან საბრძოლველად ღონისძიებათა გამომუშავებას.

ნაუენი. 16 ივნისი საკონტრიბუციო კომისია გერმანიის სახელზე გაგზავნილ ახალ ნოტის შესახებ, გამოსთქვამს იმედს, რომ კომისიის მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენლებთან წარმატებით ჩატარდება. ნოტაში გამოთქმულია იმედი, რომ გერმანია შესძლებს იძულებითი სესხის საშუალებით მოაგროვოს და წლის ბოლომდე გადაიხადოს 40 მილიარდი მარკა. დასკვნაში ნოტა გამოსთქვამს ღრმა რწმენას იმის შესახებ, რომ რეიხსბანკს აეკრძალება ბანკნოტების გამოშვება, ხაზინის მოწმობების სამაგიეროდ. გარდა ამისა, უნდა სწარმოებდეს წინსწარი მუშაობა ქაღალდის ფულის გამოშვების შემცირების პრაქტიკულად გატარებისათვის.

უმუშევრობა ინგლისში.

ბორდო. 16 ივნისი. (რადიო). თემთა პალატამ სპეციალური სხდომა მოანდომა უმუშევრობის საკითხს. მთავრობის წარმომადგენლობამ დეპუტატების შეკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ ინგლისში 6 ივნისს სულ ითვლებოდა 1,4 მილ უმუშევრები.

ირლანდიის კონსტიტუცია.

ლიონი. 16 ივნისი. (რადიო) ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისსა და ირლანდიის შორის მოხდა შეთანხმება ირლანდიის კონსტიტუციის საკითხში.

ავსტრია-გერმანიის გაერთიანება.

ბორდო. 16 ივნისი. (რადიო) ბერლინიდან მიღებული ცნობებით, რეიხსტაგის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს ვენაში, რათა უკანასკნელი გაემგზავროს ბერლინში თათბირზე ავსტრიის და გერმანიის შორის ფულის ნიშნების გაერთიანების განსახილველად.

აღმოსავლეთში.

ყუმბარების დაშენა სამსუნიისათვის.

ბორდო. 16 ივნისი. (რადიო) კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: ბრწყინვალე პორტამ პროტესტით მიმართა მოკავშირეების წარმომადგენლებს სამსუნისათვის საბერძნეთის სამხედრო ფლოტის მიერ ყუმბარების დაშენის გამო. ბრწყინვალე პორტა მოითხოვს კომპენსაციას;

„ხიმხეცის" გამოძიების შესახებ.

კრაუდენი. 16 ივნისი. (რადიო). მიღწეულია შეთანხმება ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლების შორის კომისიაში ადგილების დანაწილების შესახებ რომელიც შესდგა მცირე აზიაში, როგორც ბერძნების ისე ოსმალოების მიერ ჩადენილ მოქმედების გამოსაძიებლად.

ინგლისის ხელის უფლების რეპრესიები.

ანგორა. 10 ივნისი (რადიო) კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობებით, ინგლისის ხელისუფლება ხელს უშლის ანატოლიაში საფრანგეთის მწერალის, ცნობილ ქემალ ფილის კლოდ ფარერის ჩამოსვლას.

საფრანგეთ ოსმალეთის დამოკიდებულებანი.

ტრაპიზონი. 10 ივნისი. ანგორაში მივიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისრის ადიუტანტი სირიაში პოლკოვნიკი მონსონი. მონსონმა განაცხადა, რომ მას დავალებული აქვს აწარმოვოს ანგორის მთავრობასთან მოლაპარაკება საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების ზომიერ მუხლებზე.

საფრანგეთით უკმაყოფილება.

ნაუენი. 16 ივნისი (რადიო). პარიზიდან მოსული ცნობების თანახმად, სესხების კომისიის მოხსენებას, რომელიც საფრანგეთს აკისრებს პასუხისმგებლობას სესხის უშედეგობაზე, არ ჩაუვლია უქმად საზოგადოებრივი აზრისთვის. ყოველ დღე იზრდება უკმაყოფილება პუანკარეს პოლიტიკით, რომელსაც შეაქვს დაბრკოლება მსოფლიო ეკონომიურ ურთიერთობის ნორმალური პირობების დამყარებაში.

დაპატიმრებანი.

ჰანოვერი. 16 ივნისი (რადიო). მიუნხენში ხდება მრავალი დაპატიმრება. დაპატიმრებულია 75 კაცი, იმ უწესოებაში მონაწილეობისათვის, რომელიც გამოიწვია ბავარიაში პრეზიდენტ ებერტის მისვლამ.

სატარიფო განაკვეთების გადასინჯვა.

ბორდო. 16 ივნისს, (რადიო). გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს მუშათა ორგანიზაციების და მოსამსახურეების პროფკავშირთა წარმომადგენლებთან გაერთიანებული თათბირი შრომის ხელფასის გადასასინჯავად.

ავსტრია.

აუცილებელი კრახი.

ბერლინი. 16 ივნისს, (რადიო). „მანჩესტერ ჰარდინგ"ი კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ შემდეგში კიდევ დაგვიანდა ავსტრიისათვის დახმარების გაწევა, ეს ქვეყანა მივა აუცილებელი დაღუპვამდი. ეს ქვეყანა ისევე გამოაკლდება სხვა ქვეყნებს, როგორც რუსეთი. ავსტრიის გადარჩენა შეიძლება საკონტრიბუციო პრობლემის გადასინჯულ და საერთაშორისო ვალების შემცირებით.

ახალი საემისიო ბანკი.

ბორდო. 16 ივნისი, (რადიო). მსხვილ ბანკების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს მთავრობასთან თანამშრომლობით დაარსონ წმინდა საემისიო ხასიათის ახალი ბანკი. ბანკის მიზანს წარმოადგენს ფულის ტრიალის სისწორის უზრუნველყოფა.

რუმინეთი.

საფრანგეთ-რუმინეთის ურთიერთობა.

ბერლინი. 10 ივნისი, (რადიო). „ადევერულ" იუწყება: პარიზში დადებულია სამხედრო კონვენცია რუმინეთს და საფრანგეთს შორის. კონვენციას გათვალისწინებული აქვს რუმინიისათვის დახმარება მაზე გარედან თავდასხმის შემთხვევაში. საფრანგეთი ვალდებულია დაეხმაროს რუმინეთს სამხედრო მასალებით და ინსტრუქტორებით მომარაგების მხრით.

სამხრეთ სლოვიასთან შეთანხმება.

ბორდო. 16 ივნისი, (რადიო). გაზეთების ცნობების თანახმად სამხრეთ სლოვაკიის და რუმინეთს შორის ახლო მომავალში დადებული იქნება სამხედრო კონვენცია.

ინგლის რუმინეთის ურთიერთობა.

ბუხარესტი. 16 ივნისი, (რადიო). ბუხარესტში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ინგლისის ბანკების კონსორციუმთან შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერა რუმინეთის ფინანსთა მინისტრმა ბრატიანომ რუმინეთის მიმდინარე ვალების 23 მილიარდი 400 მილ. ფრანკის კონსოლიდაციის შესახებ. იმავე კონსორციუმმა შესთავაზა რუმინეთის მთავრობას 2 ნახევარ მილ. გირ. სტერლინგის სესხი სახელმწიფო სესხის პირველი ორი წლის კუპონების დასაფარავად.

იტალია.

დიდსულოვანებას საპატიო მიზეზი აქვს.

ჰანოვერი. 16 ივნისი, (რადიო). იტალიის გაზეთები იუწყებიან: იტალიის მეფემ რამდენიმე ხნის უკან მისცა ხალხს ყველა თავისი ზედმეტი სასახლეები და ვილები. ეხლა ხალხს მისცა ხელოვნების ნივთები, რომელნიც იმყოფებოდენ მილანის, გენუის, ვენეციის, ფლორენტის, ნეაპოლის, და პალერმოს სასახლეებში. გამოცხადებულია სახალხოდ მეფის წიგნთსაცავი, რომელიც შესდგება 80800 ტომიდან.

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას

„...იდეა მაინც გაიმარჯვებს!.."

მხნეთ და სრულის რწმენით ამბობდა
სანდრო სიკვდილის წინ.

(იხ. ჟურნალი „პროლეტარიატის ბრძოლა" 1 ივლისი 1905 წ. № 9).

ნათელი სახე: იმედი, რწმენა... მშრომელ ხალხისთვის თავის დადება
ეს იყო შენი ცხოვრების აზრი, ეს იყო შენთვის ქვეყნათ ყოველი
და დღეს ბორკილი უკვე დაიმსხვრა წილათ ხვდა ტანჯულთ ეს გამარჯვება
და გაზაფხულთან ერთათ იხარის მუდამ ტანჯული მუშა მშრომელი.

შენ სთქვი: „იდეა გაიმარჯვებსო"... გწამდა იბრძოლე, შესწირე თავი...
მტარვალთ ბორკილ ქვეშ სულს ლევდა ხალხი—ნათელ დღის ნაცვლათ იყო სულ შავი...
მუშა კვნესოდა, მუშა იბრძოდა... და წინ შენ იდექ შეუპოვარი
დღეს აღარ გვყავხარ, დიდია სევდა, მშრომელ ხალხისთვის დიდია ზარი...

მაგრამ რაც შენ სთქვი—დღეს ეს ასრულდა
და სამუდამოთ დაიმსხვრა ხუნდი
„იდეამ უკვე გაიმარჯვაო..."
ამას გიგალობს დღეს ჩვენი გუნდი!

ნ. ხმალაძე.

გაადდება და აკმაყოფილებს ევროპიელ მომხმარებელს. ევროპის ბაზარზე გასვლისათვის კი საჭიროა მატყლის მომზადება: გარეცხა, შერჩევა, გარეცხილი მატყლის ფასია დაახლოვებით 1,232,800—1,480,000 მ. (აპრილის ფასები). განსხვავება ევროპის და შინაურ ფასებში თვალსაჩინო არის. წლიურად რომ იქნეს გატანილი 50,000 ფუთი ეს შეადგენს არა ნაკლებ 50 მილიარდი მანეთისა. ამდენი ფული რომ მეცხვარეობაში დატრიალდეს ამ ჟამათ დიდი სამსახური იქნება მეცხვარეობისათვის. მეცხვარეობას იმდენათ ფული არ სჭირდება რამდენათ საქონელი. საქონლის მიწოდებით (მარილი, ხორბალი, ფართლეულობა და სხვა) მეცხვარეობა სულს მოითქვამს. იმ განზრახვებში, რომელიც აქვს სახალხო სასურსათო კომისარიატს აღნიშნულია, რომ ნაწილი მოგების უნდა გადაიდოს განსაკუთრებულ სათადარიგო თანხაში. ამ თანხის დანიშნულება არის მეცხვარეობის დახმარება. მეცხვარეობას დიდი დახმარება სჭირდება. დღემდე ჩვენ არ ვიცით და არ შეგვისწავლია ჩვენი ცხვარის ჯიში, არ არის შესწავლილი თვისება მატყლის, მისი გამძლეობა, მისი სიგრძე, მისი სისხვილე და სხვ. ამ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვაპირებთ ევროპის ბაზარზედ გასვლას.

ცხვრის მატყლში არის ქონი, ჭუჭყი, რომელიც მატყლის გარეცხის დროს რჩება. ეს ქონი და ჭუჭყი ძვირფას ქონიან მასალას იძლევა—ლანოლინს.

მეცხვარეობის ფონდი აუცილებლად უნდა იქნეს შექმნილი. მაშასადამე, რა მნიშვნელობა აქვს მატყლის მონოპოლიას: 1) მატყლის მონოპოლია, საბოლოოდ ჩამოაშორებს მეცხვარეს შუამავლებს, ჩარჩებს, რომლებიც ყვლეფავენ მეცხვარეებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მონოპოლია ძლიერ დაგვიანებით ცხადდება. 2) მეცხვარე მწარმოებელი და მთავრობა პირის პირ წარდგებიან, და მთავრობა ვალდებული ხდება დაუბრუნოს და გაადიდოს ის მოგება წარმოების, რომელიც წინედ შუამავლებს რჩებოდა. 3) მატყლის მონოპოლია გულისხმობს მთელი დარგის ხელმძღვანელობას, გაუჯანსაღებას და ბაზრების მოპოვებას.

მატყლის მონოპოლიის დაგვიანებით გამოცხადებამ გასული წლის განმავლობიში მეცხვარეობა ხელში ჩაუგდო შუამავლებს, ჩარჩებს, რომლებიც თავის ნებით ათამაშებდნენ მატყლის ფასებს. დღესაც ბევრი არის „ცხვრის" ტყავში გახვეული მგლები, რომლებიც უსისინებენ და მატყლის მონოპოლიის წინააღმდეგ მოღვაწეობენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მატყლზე მონოპოლიის გამოცხადება ბევრ ჩარჩს და შუამავალს ართმევს დაუმსახურებელ მოგებას.

კანონმდებელი არ არის წინააღმდეგი, რომ მონოპოლიის განხორციელება სავსებით ან ნაწილობრივ გადაეცეს კოოპერატიულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და არა კერძო პირებს და კერძო ორგანიზაციებს. ამ დებულებას სავსებით მხარი უნდა დაუჭიროთ. კოოპერაცია დაახლოვებული წვრილ-მწარმოებლებთან მისცემს მთელ საქმეს ორგანიზაციას, თავს მოუყრის გაბნეულ და გაფანტულ წვრილ-მწარმოებლებს. მეცხვარე მუდმივ მოძრაობაში არის, ის მოხეტიალე მეურნეა, დაშორებული ჩვეულებრივ პირობებს ცხოვრებისას: მთაში, საძოვარ, საბალახე ადგილებში. ის უკიდურესათ „ინდივიდუალისტია", მათი თავის მოყრა, შეკუჩება და დაკავშირება აუცილებელი არის. სახელმწიფოს შეუძლია დაეყრდნოს იმ ორგანიზაციას, რომელიც უკვე არის. ამ გზას არ უარყოფს კანონმდებელი, ეს აზრი არის სრულიად საღი და მისაღები.

რაც უფრო მეტი შუამავალი ჩამოშორდება მეცხვარეს, რაც უფრო მალე მოისპობიან ისინი, რაც უფრო ადრე იქნება მეურნეობის ამ დარგში შეტანილი ორგანიზაცია, იმდენად ადრე ის გაჯანსაღდება და სწორ გზას დაადგება.

სახელმწიფოს მონოპოლიების გზა არის სწორე, სრულიად მიზან-შეწონილი. ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ როდესაც მეურნეობა განადგურებულია, ისეთ ქვეყანაში ვართ, სადაც განსაკუთრებით წვრილი მეურნეობა არის. წვრილი მეურნეობა არის სუსტი, მაშასადამე სუსტს ბუნებით გამაგრება სჭირდება, თავის მოყრა, გაერთიანება, განთავისუფლება ყოველგვარი გაყვლეფა და გაძარცვისაგან. ეს მიზნები უნდა განახორციელოს სახელმწიფო მეურნეობის გეგმა, იარაღი ასეთი საქმის მოწყობის არის— სახელმწიფო მონოპოლიები.

სახელმწიფო მონოპოლიების მთავარი მიზანი არის შენახვა მოგების, საღი მონოპოლია ამ მიზანს მიაღწევს, მაგრამ არის კიდევ ერთი მხარე, რომელსაც ყოველთვის გამოიყენებენ მონოპოლიის მოწინააღმდეგენი. სახელმწიფო მონოპოლია გულისხმობს მთავრობის მონაწილეობას წარმოების მოგებაში. მონოპოლიის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რა შუაშია მთავრობა, რისთვის და რა მოსაზრებით ის იღებს ნაწილს მოგებისას. წარმოვიდგინოთ, რომ მონოპოლია არ არსებობს. კერძო ვაჭარი, რომელიც იძენს და ასაღებს მატყლს, ვის აძლევს მოგებას, უბრუნებს ის მოგებას მწარმოებელს? აძლევს თუ არა ის განსხვავებას იმ ფასებში, რომელიც არის შინაურ და გარეშე ბაზარზე. კერძო პირი, არასოდეს არაფერს არ დაუბრუნებს მწარმოებელს. მისი მიზანი არის რაც შეიძლება მეტი მოგების დარჩენა. მონოპოლიის დროს კი ეს არ ხდება, მთავრობა უბრუნებს მეტ წილს მოგებისას; მოგების ნაწილის დაბრუნება არის შინაარსი მონოპოლიისა. მთავრობის მონაწილეობა მოგებაში არის საშუალება იმავე მოგების დაბრუნება სხვა გზით და სხვა წესით. ის მოგება, რომელიც მთავრობას რჩება, არის საშუალება მეურნეობის გაძლიერების, გამაგრების. ეს არ არის მოგება ჩარჩის, მყვლეფელის.

სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, მეტადრე წვრილ მეურნეობის—მეურნეობის წარმოების გეგმა არის ხსნა თვით მეურნეობის. მონოპოლია არის სადავე ამ გეგმისა, რომელსაც ვერ გაუშვებს ხელიდან მთავრობა, რომელმაც უნდა გაუმაგროს ნიადაგი წვრილ მშრომელს, კერძო კაპიტალის ანაბარა მათი დატოვება ყოვლად შეუძლებელი არის.

ხ. ავალიანი.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება.

ვასწორებთ ჩვ. გაზ. გუშინდელი ნომრის მეთაურში კორექტურული შეცდომით გაშვებულ ერთ ადგილს. სწერია: „ჩვეულებრივ მისი (კონფერენციის) უმთავრესი მიზანია კოლექტიური პარტიული აზროვნება სინათლეზე გამოიტანოს და სხვ." უნდა იყოს: „ჩვეულებრივ მისი უმთავრესი მიზანია კოლექტიური პარტიული აზროვნების სინათლეზე გამოიტანოს და გაითვალისწინოს" და სხვ.

◆ **მბეჭდავთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ.** საშაბათს ივნისის 20 დილის 8 საათზე, რუსთაველის თეატრში დანიშნულია მბეჭდავთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება დღის წესრიგში სდგას დეპუტატების არჩევნები თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოში. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა. კავშირის მდივანი გ. ბერბერაშვილი.

◆ **წ. ქ. გ. საზ. წევრთა კრება.** დღეს, კვირას, 18 ივნისს დილის 11 საათზე წ. ქ. გ. საზ. ბინაზე (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია საზოგადოების რწმუნებულთა და მუდმივ წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია საგნები: 1. საზოგადოების მთავარი გამგეობის მოხსენება 1921 წლის მოქმედების შესახებ, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. ახალი წესდებით გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და სხვა.

◆ **სპილენძის აღმოსაჩენი მუშაობა.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემულია დროებითი ნებართვის მოწმობა გერმანიის ქვეშევრდომის ვ. შრედერის, მოქ. ა. პ. როჟდესტვენსკის და ვ. მ. მეგრელიშვილის სახელზე, ყაზბეგის რაიონში სპილენძის მადნის აღმოსაჩენი მუშაობის საწარმოებლათ.

◆ **სპეცები სასოფლო მეურნეობის მუშაობაზე.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დანიშნა მიწად მოწყობის ტეხნიკოსები შემდეგ მაზრებში:

ბორჩალოს მაზრაში—10 ტეხნიკოსი, თბილისის და გორის მაზ.—8 თითოეულში, დუშეთის—6, ქუთაისის 5, სიღნაღის, თელავის და ახალქალაქის მაზრებში—4 თითოეულში, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ახალციხის—სამ-სამი, თიონეთის, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზ.—ორ ორი; გადასახლების საქმეზე—3, საზაფხულო საძოვარ ადგილების სარგებლობის მოსაგვარებლათ—8 და ტყის მოსაწყობათ—9 ტეხნიკოსები.

სულ მინდვრის სამუშაოზე ყველა რაიონებში გაგზავნილია ჯერ 89 სპეციალისტი. მუშაობა უკვე დაიწყო.

◆ **სეირნობა.** დღეს, 18 ივნისს, საქართველოს ცენტრ. კომიტეტის და თბილისის ქალთა განყოფილების ინიციატივით გაიმართება მეორეჯერ სეირნობა ხელოსანთა კლუბში (მიხაილოვის ქ. № 66), „დედათა და ბავშთა" სახლის სასარგებლოთ.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის-გზა

1896 წელში ცნობილმა თავადმა ნიკო თავდგირიძემ განიზრახა საქართველოს ბუნებრივად მდიდარ კუთხეში, გურიაში რკინის გზის გაყვანა. ეს საქმე, რომ მას მოენდომებია, როგორც საჭირო იყო, მისთვის არ იქნებოდა ძნელი მისი გაკეთება, მაგრამ რა თქმა უნდა მას ისე უნდოდა მოეწყო ეს, რომ არც რამე დაეხარჯა, ჯიბეც გაესქელებია და ამავე დროს უდიდესი სახელი მოეხვეჭა „უმაღლეს საზოგადოებაში". 1896 წლიდან 1914 წლამდე ხალხის „მესვეურებმა" „ლექეს" ამ რკინის გზის გაყვანის გეგმა, ბევრი სახალხო ქონებაც, ფულით თუ სხვა სახით, გაფლანგეს და, როგორც იყო, 18 წლის განმავლობაში ძლივს შეადგინეს ხარჯთ-აღრიცხვა და გზის ხაზის გეგმა, მხოლოდ იმის შემდეგ რაც გამოიანგარიშეს, თუ რამდენ მოგებას მისცემდა კაპიტალისტებს ამ გზის ექსპლოატაცია. 1914 წელს, როცა უნდა შესდგომოდნენ გზის კეთებას, იფეთქა იმპერიალისტურმა ომმა. მაშინ ვილას ჰქონდა დრო გზების შენების, იმ დროს სჭირდებოდათ სამხედრო, კაცთ-მკლავი იარაღების მზადება, და მშრომელი ხალხის შვილების სისხლით ვაჭრობაში ავიწყდებოდათ ყველაფერი. იმპერიალისტური ომით ხალხის ქლეტაში მეფის მთავრობამ, მისი ამაყი თავადებით, წააგო თავის თავი და მას ოხრად დარჩა გზის შენების საქმეც.

ამ დროს საქართველოს მოევლინა არა მკითხე „პატრონები" ბ.ბ. მენშევიკები. იმათაც ვითომ და ბევრი „იტეხეს თავი" ამ გზის გასაკეთებლად, მაგრამ საამისოდ ცოტა დრო რჩებოდათ; უნდებოდნენ ბანკეტებს ევროპის იმპერიალისტების წარმომადგენლებთან. აბა თქვენ წარმოიდგინეთ სამოვრით ღვინის სმა პუანკარე-ლოიდ ჯორჯების სადღეგრძელოები და საქმის კეთება?.. ერთი სიტყვით არ ქონდათ საამისო დრო.

არც მათ დამართიათ კარგი საქმე: საქართველოს მშრომელმა ხალხმა ერთის დაკვრით გადაუძახა ისინი შავ ზღვაში და თვითონ შეუდგა თავისი ბედის ჭედვას. მენშევიკებმა, თქვეს: „თუ ჩვენ აღარ ვიქნებით საქართველოში წყალსაც გადაუვლიაო". გაქცევის დროს, საქართველოს სხვა ქონება—განძეულობასთან ერთად არც ჩვენი რკინის გზის გეგმები და სხვა სტატისტიკური ცნობები დაივიწყეს და თან გაიყოლიეს.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ინჟინრები თუმანოვი და ჩხოვი, რომლებმაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი დოკუმენტები მაინც გადაარჩინეს 1914 წელში შედგენილი, რაც დიდი გამოსადეგი შეიქნა ჩვენთვის ეხლა ამ საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლება თავის-თავად გულისხმობს აღმშენებლობას. ჩვენ მოგვიხდა სახელმწიფოს შენების დაწყება ცარიელი ხელებით. რომ იტყვიან „ძვალზე ურბილესიო" მენშევიკებს არაფერი დაუტოვებიათ. რაც კი „ხელ წამოსაკრავი" იყო, ყველაფერი წაიღეს. მაგრამ ჩვენ მუშის შვილები, მუშური ფსიხოლოგიით გამსჭვალულნი, სულიერად არ ვეცემით. ჩვენ მოვკიდეთ ხელი ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანას. ამ საქმის უმთავრესი ნაწილი უკვე გაკეთებულია. მკითხველი ხშირად შეხვდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ საქმის მსვლელობის ამბებს. ჯერ კიდევ ოზურგეთის სამაზრო რევკომმა გასულ წელს აღძრა ეს საკითხი, და სისრულეში მოჰყავს ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. მას ეხმარება მთელი გურია.

ვინ არ იცის რა არის გურია თავისი რევოლიუციონური წარსულით! ის მუდამ სახელოვანი იყო თავისი აქტივობით, და დღესაც ამ რკინის გზის საქმეზე აქტიურად გამოდის. გურიის მშრომელ ხალხს მიზნათ აქვს უჩვენოს მაგალითი სხვა მაზრებს, თუ რის გაკეთება შეუძლია მშრომელ ხალხს.

მშრომელ ხალხს არ უყვარს მარტო მშრალი სიტყვები. ის თავისი მარჯვენით სჭედს თავის ბედს. ჩვენი მთავრობა მას დაეხმარა რითაც შევძლო, მაგრამ ვინ არ უწყის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. მთავრობას არ შეუძლია სრულიად იდვას თავზე ამ მოკლე დროში ამოდება საქმე, როგორიც არის ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა, რომელიც უნდა გაგრძელდეს დაბა ჩოხატაურამდის, რომელსაც აკრავს დიდ ძალი, ჯერ ხელუხლებელი ტყეები, ცნობილი კურორტი ბახმარო, განსაკუთრებით მადნეულობა ქალაქ ოზურგეთის მახლობლად; როგორც გამოკვლეულია სპეციალისტების მიერ, არის სპილენძის, რკინის, ქვანახშირის და საღებავის მადნეულობა.

გურიის მშრომელ ხალხს აწევს დიდი მძიმე საქმე, მაგრამ ის მარტოდ არ არის. მე მქონდა სამაზრო აღმასკომის მიერ მონდობილი მიმემართა ბათომის სანაპირო არტელის მუშებისადმი (1500 კაცზე მეტია) დახმარებისათვის. საინტერესოა ამ მუშების შეხედულება ჩვენს დაწყებულ საქმეზე. ამა წლის ივნისის პირველ რიცხვებში ჩავედი ბათომში, მოველაპარაკე ამ არტელის ადგილობრივ კომიტეტს, რომლის ინიციატივით მოწვეულ იქნა 6 ივნისს სანაპირო მუშების გაერთიანებული კრება, რომელზედაც დაესწრო მრავალი მუშა-რიცხვით 1,500 კაცამდე. კრებას გავაცანი ჩვენ მიერ დაწყებული რკინის გზის გაყვანის საქმე და მოუწოდე მათ, დახმარებოდნენ გურიის მშრომელ ხალხს და შეემსუბუქებიათ ეს მძიმე ტვირთი გურულებისათვის. სიტყვას ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მაწყვეტინებდენ, ისეთ აღტაცებაში მოვიდა მუშები რაკი გაიგეს ასეთი საქმის კეთება. უნდა აღვნიშნო, რომ ამ არტელში დიდი უმრავლესობა არა ქართველებია, მისი შემადგენლობა სხვა და სხვა ეროვნების მუშებისაგან შესდგება. მე პირველად შევხვდი ასეთ ერთსულოვნობას სხვა და სხვა ეროვნების მუშებში. ისინი თავიანთ სიტყვებში ესალმებოდენ ასეთი დიადი საქმის დაწყებას, როგორიც არის რკინის გზის შენება საბჭოთა რესპუბლიკაში.

ამ არტელის მუშებმა გურიის მშრომელ ხალხს შესწირეს რკინის გზის გასაყვანათ თავიანთი ერთი კვირის ნამუშევარი, რაც გამოიხატება 4-5 მილიარდ მანეთში. ორატორების სიტყვების შემდეგ კრება ღებულობს ერთხმად შემდეგ რეზოლიუციას.

მოვისმინეთ რა მოხსენება ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის წევრის და სრულუფლებიან რწმუნებულის ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში ამხ. გრ. სარჯველაძისა, და სანაპირო მუშებისა, რომლებმაც გაგვაცნეს გურიის მშრომელი ხალხის მდგომარეობა და რკინის გზის გასაყვანათ საჭირო ტვირთის სიმძიმე, პროლეტარული სოლიდარობის გრძნობით აღჭურვილმა სანაპირო მუშებმა ერთხმათ დავადგინეთ: ჩვენ მივესალმებით ასეთ დიად საქმეს, როგორიც არის რკინის გზის აგება გურიაში და აღუთქვამთ გურიის მშრომელ ხალხს ერთი კვირის ნამუშევრის ქირას, რომელიც გადაცემული იქნება გურიის მშრომელ ხალხზე დახმარების სახით, ექვსი კვირის განმავლობაში ნაწილობრივ ქირის გადადებით".

რეზოლიუციის წამკითხველ მუშას ტაშის ცემით და ურას ძახილით აცილდოვებენ. კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით და შემდეგ იშლებიან. გაისმის ხმები: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას—მის აღმშენებლობას"! „გაუმარჯოს გურიის რკინის გზას!" „გაუმარჯოს მათ, ვინც მოგვბაძავს ჩვენ და დაეხმარება გურიას ამ დიად საქმეში!" გამოდიან და მიემართებიან ბათომის სხვა და სხვა ქუჩებში რევოლიუციონური სიმღერებით. მათ სახეზე წაიკითხავდით სრულ კმაყოფილებას. ისინი გრძნობენ, რომ მათაც შეუძლიათ აკეთონ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში დიადი საქმეები. ამ არტელის რამდენიმე მილიარდები გაუღია სხვა და სხვა საქველმოქმედო მიზნით: სკოლების, ხიდების, სახალხო სახლების ასაშენებლად, დამშეულთა დასახმარებლად და სხვა.

თუ კი იმ მუშებს, რომლებიც დღეში 12 საათის განმავლობაში ეზიდებიან ვებერთელა ტვირთს და თავიანთი დაკოჟრებული ხელებით ნაშოვარი ფულებს სდებენ ამ დიად საქმის დასახმარებლად, ნუ თუ თავად თავდგირიძეს არ შეეძლო ამ საქმის რამოდენიმე ათეული წლეებში გაკეთება? არა ამხანაგებო, მას შეეძლო, მაგრამ ეშინოდა, რომ ამ საქმეზე ფულის დახარჯვით მას ფუფუნება მოაკლდებოდა.

ისტორია დააფასებს ერთი მხრით ნიკოს ჩვენებური მდიდარი „მამულიშვილების" მიერ თავისი ჯიბის დაზოგვას და მეორე მხრით ბათომის სანაპირო არტელის მუშების გულუხვობას.

გაითვალისწინეთ ამ საქმის სიდიადე და დაეხმარეთ გურიას, ვისაც, გაინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინება.

შემოწირულებები უკვე შემოდის. ხსენებული არტელის მუშამ, **კოკისა (გიორგი) კალანდაძემ**, გარდა იმ ერთი კვირისა, შემოსწირა თავისი ერთი თვის ნამუშერი, რაც უდრის 10-12 მილიონ მანეთს, **დათა შალიკაშვილმა** (ლანჩხუთში ფეხზედ მოვაჭრე) შემოსწირა 10 მილიონი მანეთი, **დათიკო სარჯველაძემ** (ბათუმში) 10 მილიონი მანეთი და სხვა. **მიჰბაძეთ მათ და შეუმსუბუქეთ მძიმე ტვირთი გურიის მშრომელ ხალხს. დაეხმარეთ რკინის გზის გაყვანაზე ნატანებ-ოზურგეთ-ჩოხატაურამდე.**

გურიის მშრომელი ხალხი დარწმუნებულია, რომ მას გვერდში ამოუდგება და დაეხმარება ყველა საბჭოთა დაწესებულებები, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზ., კერძო დაწესებულები, ვაჭრები და ყველა მოქალაქენი. ვისაც კი ჩაწვდება ყურში ამ საქმის სიდიადის შეგნება.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის წევრი და სრულ უფლებიანი რწმუნებული ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში.

გრიშა სარჯველაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მომგებიანი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

სცადეთ თქვენი ბედი, დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

4—4 ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის მოლაპარაკების შესახებ

ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის კონფერენციის მუშაობა თითქმის დასრულდა. ყველა კონვენციების პროექტები და ხელშეკრულებანი განიხილეს კომისიებმა და მიიღო კონფერენციის პლენუმმა. ამ რიგად, საჭირო ტექსტის შემუშავების შემდეგ, ყველა ამათ ხელს მოაწერენ და ამით საბჭოთა ამიერ-კავკასიისა და მეგობარ რევოლიუციონურ ოსმალეთს შორის ურთიერთობის ყველა საკითხები მოწესრიგებული იქნება.

საქართველოს და ოსმალეთს შორის დადებულ კონვენციების გარდა, რომელიც ეხება მოსაზღვრე ადგილების მცხოვრებლებთათვის საზღვრებზე გადასვლის გაადვილებას და საზღვრის იქითა მდებარე ადგილების გამოყენებას, დამზადებულია ხელმოსაწერად შემდეგი კონვენციები:

1. საკონსულო, რომელიც საზღვრავს ელჩის დანიშვნის უფლებას, უპირატესობას საელჩოს თანამდებობის პირებისას, მათ უფლება-მოვალეობას და დასასრულ მათ მონაწილეობის მზრუნველობის და მემკვიდრეობის საკითხებში.

2. იურიდიული დახმარება, რომელიც საზღვრავს წესს უწყების და სასამართლოს სხვა აქტების ჩაბარებისას და რომელიც გამომდინარეობენ მეგობარ მეორე სახელმწიფოს სასამართლოსაგან.

3. საფოსტო-სატელეგრაფო, რომელიც აწესრიგებს საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო ტელეგრაფისა და სატელეფონო კავშირს რუსეთისა და ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოსმალეთის შორის.

4. სარკინისგზო, რომლითაც წესდება პირდაპირი მიმოსვლა რუსეთისა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოსმალეთის რკინის გზებს შორის,

დასასრულ, პლენუმმა უკვე მიიღო თითქმის სავსებით სავაჭრო ხელშეკრულება და კონვენცია ბათომით შეღავათიანი ტრანზიტის შესახებ. სავაჭრო ხელშეკრულება აწესებს რა ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას ამ ორ სახელმწიფოთა შორის, ამასთან ერთად უზრუნველყოფს გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის, საბჭოთა სახელმწიფოს ამ მნიშვნელოვანი ორგანოს, დაუბრკოლებრივ მუშაობას.

რაც შეეხება ბათომით შეღავათიან ტრანზიტის კონვენციას, მისი აუცილებლობა გამოწვეულია იმ სურვილით, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ოსმალეთის აღმოსავლეთი ვილაიეტების კავშირის დაჭერა (ყარსი, არდაგანი და ართვინი), როგორც ანატოლიასთან, ისე დასავლეთ ევროპის ბაზართან. ამ ვილაიეტებს, რომელნიც ამ საარსებო კავშირის გაბმის საქმეში სავსებით დამოკიდებულნი არიან ბათომზე, — დასჭირდებოდათ მძიმე პირობების გადატანა თავის ეკონომიურ მდგომარეობასა და განვითარებაში. ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს არ შეეძლოთ არ დახმარებოდნენ ამ რაიონებს.

ამ რიგად ის საქმე, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა წარსული წლის ოქტომბერში ყარსში, თავდება ამ დღეებში თბილისში. ნორმალური ურთიერთობა იმ ხალხთა შორის, რომლებიც საუკუნოებით ებრძოდნენ ერთიმეორეს, უკვე აღდგენილია. უარი სთქვეს რა ერთის მხრივ ოსმალეთმა თავის ძველ დაპყრობითი პოლიტიკაზე, ხოლო მეორე მხრივ რუსეთმა ძველ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე,—საუკუნო მეკობრობის ხელშეკრულებით (ყარსის)—და ერების ინტერესების ურთიერთი პატივისცემის ნიადაგზე დადებულ შეთანხმებით, კონვენციებით, დაიწყო ახალი ერა ამ ხალხთა ცხოვრებაში.

არა ბარბაროსული, დაპყრობითი ბრძოლა, არამედ ძმური თანამშრომლობა ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის ხალხებისა—აი ჩვენი მომავალი.

რუსეთის მონაწილეობა, ან როგორც ერთ-ერთი მხარისა მოლაპარაკებაში, ან როგორც მონაწილესი ხელშეკრულების მოწერაში,—დაანახვებს მთელ ქვეყანას იმ განუყრელ კავშირს, რომელიც არსებობდა და იარსებებს საერთოდ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების შორის, რომელნიც მუდამ მზად არიან გაჭირვებისა და დალხინების დროს ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იარონ მსოფლიო კაპიტალისა და დასავლეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

დიდის კმაყოფილების გრძნობით მიესალმება აღმოსავლეთი ამიერ კავკასიისა და ოსმალეთის კონფერენციის მუშაობის დამთავრებას; გულჩათხრობილი სიბრაზით შეხვდებიან მას ანტანტისა და მისი თანამოძმეთა ბანკირები.

მდგომარეობა რაჭის მაზრაში

(საუბარი რაჭის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ წულუკიძესთან)

ეხლახან სამსახურის საქმეებზე ტფილისში ჩამოსულმა ამხ. პ. წულუკიძემ განაცხადა, რომ რაჭის მაზრაში თესვის კამპანია ყველგან დამთავრდა. ანეული და გაზაფხულის ნათესების ჯეჯილები ზემო რაჭაში საუცხოვოა და მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანს. ქვემო რაჭაში ნათესები ცოტაოდნად დაზიანდა გვალვისაგან, რის გამო მოსავალი იქ დაიკლებს ერთი მეოთხედამდე. საერთოდ მთელ მაზრაში მოსავალი შეიძლება საშუალოდ ჩაითვალოს.

ზემო რაჭაში სიმინდის ჯეჯილი ცოტაოდნად დაზარალდა სეტყვისაგან (ნიკორწმინდის რაიონში); ზემო რაჭის დანარჩენ რაიონებში სიმინდის ჯეჯილები კარგია. ქვემო რაჭაში სიმინდის მოსავალი საშუალო იქნება. ყურძნის მოსავალი შარშანდელზე უკეთესია და საშუალოზე მეტი. სამწუხაროდ მაზრაში არ მოიპოვება შაბიამანი ვაზის საქიმოდ. ხეხილის ბაღები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბოსტნები ზემო რაჭაში კარგია; ქვემო რაჭაში ოდნავ დაზარალდა გვალვისაგან.

მაზრაში შიმშილობა მატულობს, იყო შემთხვევები სიკვდილისა შიმშილობის ნიადაგზე.

საშუალო ქონების გლეხები, რომელთა შესახებ დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი გამოიტანენ თავს ახალ მოსავლამდე, აგრეთვე გალატაკდნენ.

სურსათის ნაკლებობა მაზრაში ისეთია, რომ ყველაზე უფრო მდიდარ და ნაყოფიერ აბარის თემში, რომელიც ნახევარ მაზრას აწვდიდა სიმინდს, მიმდინარე წელს თვით განიცდის სასურსათო კრიზისს. ყველაზე მეტად იმშევა ზემო რაჭა.

დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისაგან მიღებულია 11314 ფუთი სიმინდი, რომელიც სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ განაწილებულია მცხოვრებთა შორის კოოპერატივების საშუალებით. პურის მოთხოვნილება აგვისტოს დამლევამდე ე. ი. სანამ მიმდინარე წლის მოსავლის ხარჯვას შეუდგებოდნენ, რომ სულზე ვიანგარიშოთ 20 გირვანქა, შეადგენს მთელ მაზრაში 60000 ფუთს.

ივლისის შუა რიცხვებში დაიწყება პურის გაჭრა, ქერის გაჭრას შეუდგებიან ერთი კვირით ადრე.

რაჭაში ბანდიტიზმი არ არის. სასკოლო მუშაობა მიმდინარეობს შედარებით ნორმალურად, და შეფერხება სწავლის საქმეში სასწავლო წლის ბოლომდე არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები მეტად შევიწროვებული არიან.

სასურსათო გადასახადი მაზრაში შეკრებილი იყო 1000 ფუთი სიმინდისა, რომელიც უკანვე იქნა დაბრუნებული. დაიწყო ღვინის სასურსათო გადასახადი და ამასთანავე დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ გლეხები უხალისოდ იხდიან სასურსათო გადასახადს ფულით, და არჩევენ ნატურით გადახდას.

გზის აღშენებლობა და ხიდების შენება სწარმოებს სავსებით წარმატებით.

ბრძოლა ხოლერასთან

წარსულ 1921 წელს 12 ივანობისთვეს ტფილისში დაიწყო აზიური ხოლერის ეპიდემია. თითქმის ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც ამ დღეს ავად გახდა ქალაქის სხვადასხვა უბნებში 4 კაცი. შემდეგ ამ ავადმყოფობამ მოგვცა მძვინვარე ეპიდემია, რომელიც გაგრძელდა თითქმის 4 თვეზე მეტი და მოაყენა რესპუბლიკას დიდი ზიანი. მოქალაქენო, თქვენ უთუოდ იცით, რომ ჩვენ ხოლერის ეპიდემიას ველით ამ ზაფხულსაც და ამაზე ჩვენ უკვე ვწერდით. შემთხვევა ხოლერით ავადმყოფობისა იყო კიდევ ამა წლის მარტში; ეს შემთხვევები არ აღმოჩნდა ჩვენთვის საშიში, იმათ არ მოგვცეს ეპიდემია. მაგრამ რესპუბლიკას არა აქვს გარანტია მასში, რომ ხოლერა, რომელიც მძვინვარებს მეზობლად, არ გადმოვა აქაც; პირიქით,—მიუხედავათ ჩვენ მიერ ზომების მიღებისა,—ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხოლერის ეპიდემიას ვერ ავცდებით. მოქალაქენო, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარო საეპიდემიო განყოფილება წინადადებას გაძლევს თქვენ ერთ წუთითაც არ დაივიწყოთ, რომ ხოლერის ეპიდემია კარზე გვადგია, და ამიტომ უნდა მზათ ვიყოთ, რათა შევხვდეთ მას სათანადოთ მომზადებული. როგორ ვიბრძოლოთ ხოლერასთან? უფრო რადიკალური, ე. ი. უებრო საშუალება ხოლერასთან საბრძოლველად, არის ხოლერის საწინააღმდეგო აცრა. მოქალაქენო, თქვენ იცით რომ აცრა ავადმყოფობის წინააღმდეგ ახალი არ არის, ხომ ავალდებულებთ თქვენ შვილებს და ყველა მახლობლებს ყვავილის აცრას. ავადმყოფობის და დამახინჯების წინააღმდეგ მიღებული ასეთი საშვალებანი თვალსაჩინოთ დამტკიცდა აცრის სარგებლობა და მიზან შეწონილობა. ის იცავს ორგანიზმს დაავადმყოფობისაგან. საშუალების გარდა, ე. ი. ხოლერის წინააღმდეგ აცრის გარდა ჯერ-ჯერობით არ არის სხვა საშუალება ხოლერის ავადმყოფობის ასაცრელათ. არსებობს რამოდენიმე საშუალება ხოლერის აცრის; მეტად გავრცელებულათ და სრულიად უშიშროთ ითვლება კოლლეს საშუალება. სითხეს, რომელსაც ასხამენ ადამიანის კან ქვეშ, ქვიან ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა (მონოვაქცინა). მონავაქცინა შეიცავს დახოცილ ხოლერის ვიბრიონებს, მათი ტოქსინებით ე. ი. ვიბრიონებიდან დამუშავებულ შხამს. აცრა სავალდებულოა 2—3 ჯერ დაახლოვებით თითო კვირის განმავლობაში. უმეტეს შემთხვევაში აცრა არ ძნელდება, ასე რომ აცრილი გრძნობს თავს, ისე როგორც გრძნობდა აცრამდე; იშვიათ შემთხვევაში მოხდება ხოლმე სუბუქი შეუძლებლობა, რომელიც გრძელდება 2—3 დღეს აწეული ტემპერატურით; ეს შეუძლებლობა ჩქარა და უშედეგოთ გადის. აცრის შემდეგ კაცის ორგანიზმი აღარ ღებულობს, ხოლერას, და თუ ჩვენ დაუშვებთ რომ აცრილიც ავად გახდება, ყოველ შემთხვევაში ეს ავადმყოფობა არაა საშიში ე. ი. ავადმყოფი არ მოკვდება. აცრის შემდეგ კაცის ორგანიზმს გარანტია აქვს ექვსი თვის განმავლობაში, ხანდისხან ერთი წლისაც. მოქალაქენო, გამოიჩინეთ განსაკუთრებული შეგნება ეპიდემიასთან ბრძოლის საქმეში და აიცერით; აცრა სწარმოებს მთელ რესპუბლიკაში სახელმწიფოს ხარჯზე, ის სრულიად უსაშიშროა. ჯარი აცრილია, მშრომელი მასსა იცრის ავადმყოფთა დამხმარე ქვე განყოფილებების ამბულატორიებში, და აგრეთვე ქარხნებში, ფაბრიკებში, წარმოებებში და დაწესებულებებში. სუყველამ უნდა აიცრას. მოქალაქენი, რომელთაც ჯერ კიდევ არ აუცრიათ, უნდა გამოცხადდენ ასაცრელად ქალაქის ამბულატორიებში.

ამავე დროს გაფრთხილებთ, რომ უნდა შეინახოთ თავი გაციებისაგან, არ შესცვალოთ სწორი და შეჩვეული ცხოვრების წესი; მწვანეულობა, ბოსტნეულობა და ხილი სჭამეთ განსაზღვრული რაოდენობით, მხოლოდ აუცილებლივ გარეცხილი გადადუღებულ წყალში, და—თავი და თავი—არ უნდა დალიოთ აუდუღარი წყალი და მოუდუღებელი რძე. გაუფრთხილდით სიმთვრალეს, დაიცავით სიწმინდე იმ შემთხვევაში, თუ შეამჩნიეთ არა ნორმალური მოქმედება კუჭ ნაწლავების ტრაქტისა, დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს, განსაკუთრებითი ფაღარათის და რწყევის დროს.

სასანიტარო საეპიდემიო განყოფილების გამგე **ნაზარეტიანცი.**

პროვინციაში

ზუგდიდის მაზრა.

მენშევიკების ბატონობის დროს ზუგდიდის მაზრა საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა მთელს კუთხეს განაგებდა ერთი მუჭა ჯგუფი ანჯაფარია-ბაძალუა-კვარაცხელია და მათი ძმა-ბიჭები „დემოკრატიზმის სამეფოში“ დემოკრატიზმის უბრალო ნიშანწყალიც გამქრალიყო, შოლტი, მათრახი, ცემა ტყეპა ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული სოციალიზმის მოღალატეებს სოციალური სამართლიანობის იოტის ოდენა არა დარჩენოდათ რა. ამას ზედ დაუმატეთ თავაშვებული თარეში ბანდიტებისა, სხვა და სხვა ჯურის კონტრევოლუციონური ელემენტების ვაკხანალია და თქვენს თვალწინ გადაიშლება საშიხელი სურათი მშრომელი გლეხკაცობის უმწეო მდგომარეობისა. კაცის კვლა, ცარცვა-გლეჯა, ქურდბაცაცობა ეპიდემიურ ხასიათს ღებულობდა. ცხოვრების ნაძირალები მშვიდობიან ხალხს თავისუფალ ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ. ასე იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ დღიდან კი იწყება ახალი ხანა გლეხკაცის ცხოვრებაში. ყველა მავნე ელემენტები მენშევიკებთან ერთად, შიშისაგან აკანკალებულნი, როგორც ვირთხები მყისვე ჩაძვრეხ თავიანთ ბნელ სოროებში. შრომის შვილებმა იგრძნეს შვება, თავისუფლად ამოისუნთქეს. მათი აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა. ჩვენი მაზრის ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგებოდა. მაგრამ დადგა 1921 წ. შემოდგომის თვეები. ბნელეთის მოციქულებმა ისარგებლეს ჩვენი გულკეთილობით, ჩვენი ადამიანური ლმობიერი მოპყრობით და მასთან ადმინისტრაციის ჯერ კიდევ შედარებით მოუწყობ. მისი სისუსტით, და ცხოვრების ზედაპირზე კვლავ ამოტივტივდნენ ცხოვრების ნაძირალები, კვლავ შეუდგნენ თავიანთი „საგმირო საქმეების“ მოქახრაკებას. დაიწყეს ცარცვა-გლეჯა. ორი სამიოდე თვის განმავლობაში მოგვიკლეს საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები: პლატონ შელია, მალანია, ჩხოროწყუს რაიონის მილიციის უფროსი, სასიკვდილოთ დაგვიჭრეს მილიციელი კიტია. ასე გრძელდებოდა აღმასკომის არჩევამდე. ბოლოს, როდესაც რევკომმა ადგილი დაუთმო აღმასრულებელ კომიტეტს, ამ უკანასკნელმა თავისი უმთავრესი ყურადღება უპირველეს ყოვლისა ბანდიტიზმის და ყოველნაირი ბოროტ მოქმედების ძირიან ფესვიანად აღმოფხვრას მიაქცია. მოახდინა ადმინისტრატიული აპარატის სრული რეორგანიზაცია, გარდაქმნა და გააჯანსაღა მაზრის მილიციის მთელი შემადგენლობა, შემოიღო მასში სასტიკი დისციპლინა, სასტიკი პასუხისმგებლობა, მან მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ხალხის მტრებს, თავზე ხელ-აღებულ ვიგინდარეებს. აღმასკომის ასეთ ენერგიულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ორი სამი კვირის განმავლობაში მოკლულ იქნა ყაჩაღი უბილიანი (ამხ. შელიას მკვლელი), დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს ცნობილი ყაჩაღი ქალი ბერაიასი. შეიპყრეს და საგანგებო კომისიის დადგენილებით ადგილობრივათ დახვრიტეს აფხაზეთში და სამეგრელოში თავისი ბოროტ მოქმედებით სახელგანთქმული ავაზაკები ლიპარტია და ბარამია (ამხ. ალანის მკვლელები), რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ჩხოროწყუს რაიონის მშვიდობიან მცხოვრებლებს და რომლებსაც ბრალდებოდათ თუთხმეტამდი ქალი და კაცის მკვლელობა. სასიკვდილოთაა დაჭრილი ზუგდიდის და სენაკის მაზრებში კარგად ცნობილი ყაჩაღი ბერაია.

ამ ნაირად დღეს ჩვენი მაზრა გაწმენდილია ბანდიტებისაგან, სრული მყუდრო ცხოვრებაა დამყარებული. მართალია კიდევ დარჩა ორიოდე ყაჩაღი, რომელნიც დროგამოშვებით აქა იქ მშიშარა კურდღელივით გამოჩნდებიან, მაგრამ მათ წინააღმდეგ სათანადო ზომებია მიღებული და დღეს თუ ხვალ, იმათაც ბოლო მოეღებათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ყაჩაღებს ჩუმად ჩასჩურჩულებენ ყურში მთავრობას ნუ დანებდებით, მოკლე დროში საბჭოთა ხელისუფლება გაქრება და მაშინ თავისუფალი იქნებითო. საილიუსტრაციოთ აქ მოვიყვან შემდეგ მაგალითს: ყაჩაღი ბერაია ცოლითურთ თავისი ნებით გამოცხადდა სენაკში ამხ. საშა გეგეჭკორთან და სთხოვა მას დანაშაულის პატიება. ამნისტიის ძალით ისინი განთავისუფლებულ იქნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი მოწინააღმდეგების წაქეზებით ისევ ტყეში გადაკარდნენ და სხ. საერთოდ ზუგდიდის მაზრის გლეხკაცობაში ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას დიდი სიმპატია აქვს დამსახურებული მიუხედავათ ათასნაირი პროვოკაციისა, მიუხედავათ დღევანდელ საშინელი ეკონომიური კრიზისისა, გლეხობა სრული ნდობის თვალით უყურებს საბჭოთა ხელის უფლებას და მისი სულის ჩამდგმელ კომუნისტურ პარტიას და იმედით შესცქერის მომავალს.

გრიშა მეგრელი.

ზემო გომი.

ზოგიერთ თემში მუშაობა ძოისუსტებს, რაც აიხსნება შეგნებული და მცოდნე ამხანაგების სიმცირით. ხშირათ ხდება, რომ სხვა თემებიდან გომში ჩამოდიან უბრალო საჩივრებისთვის. საბჭოების მუშაობის უმთავრეს საგანს შეადგენს: არხების, ბოგირების, გზების, სკოლების და სხვ. ამ გვარი საქმეების მოვალა-მოწყობა. ამ მხრივ ბოლო დროს ბევრი თვალსაჩინო რამ არ გაკეთებულა.

დამაბრკოლებელ მიზეზათ უნდა ჩავთვალოთ: ხვნა-თესვის კამპანია, მიწების გამუდმებული საჩივრების მოწესრიგება, და რაც ყველაზე უმთავრესია,—გაუგონარი შიმშილობა.

ხვნა-თესვა სრულიად დამთავრდა. დაუთესავი მინდვრები არ დარჩენილა. სიმინდს მეორედ თოხნიან. ყველაფრის მოსავალი უკეთესია. ამ ორ კვირაში დაიწყება მკა.

გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის შიმშილობის გამო. პირდაპირ ველარ მუშაობენ. საჭიროა ცოტა დახმარება კიდევ და დასამარდება ჩვენი დიდი მტერი—შიმშილი!

გარდა ამისა, მთავრობის ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას:

ამ შიმშილობის დროს გლეხების ბევრმა ნაწილმა ჩუმათ დაუგირავა დათესილი მიწები წურბელა-კულაკჩარჩებს სრულიათ მუქთათ: მაგ 5 ფ. სარჩოში 1 დღიური! ვინც ისესხა ერთი ხუთათ უნდა გადაუხადონ კალობაზე. ყოველივე ეს მძიმე უღლათ დაწევება ღარიბ გლეხებს და მათი სარჩო-საბადებელი კულაკებს და ჩარჩებს ჩაუვარდებათ ხელში. საჭიროა მის წინააღმდეგ ზომების მიღება.

ა. ცაბაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 17 მაისის № 6 დეკრეტის განხორციელების შესახებ. დამტკიცებულია ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ 1922 წლ. 16 ივნისს.

ა. წ. 17 მაისის დეკრეტის № 6 მე 23 მუხლის შენიშვნის და მე-24-ხე მუხლის თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარს უფლება ეძლევა განსაზღვროს ვადა ამ დეკრეტის განხორციელებისა და გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.

ამის გამო ფინანსთა სახალხო კომისარი აცხადებს:

1) რომ დეკრეტის მოქმედებაში შესვლის დროთ, გარდა მე-10, 11, 12 მუხლებისა და ამ უკანასკნელი მუხლის შენიშვნისა, რომლების შესახებ ასეთი დრო გამოცხადებულ იქნება ცალკე, დანიშნულია ა. წ. 25 ივნისი.

2) ნორმით მომქმედ ქარხნებში აქციზ გადაუხდელი ღვინისაგან სპირტის გამოხდა შეიძლება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ღვინის აღრიცხვა არ არის შემოღებული; იქ კი, სადაც შემოღებული არის ღვინის აღრიცხვა, სპირტის გამოხდა შეიძლება მხოლოდ დაწესებული აქციზის გადახდის შემდეგ (მუხლი მე-4).

3) დუქნებში (духаны) ადგილობრივი დალევით გაყიდვა შეიძლება მხოლოდ ღვინისა და ლუდისა. დანარჩენი მაგარი სასმელებით ვაჭრობა კი უნდა ხდებოდეს მარტო გარეთ გატანით.

4) არა უგვიანეს 23 ივნისის ყველა საწყობები და სავაჭრო დაწესებულებანი, რომელთაც აქვთ მომარაგებული შაქარი, ვალდებულნი არიან ამის შესახებ განუცხადონ თბილისში—არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებას (სასამართლოს ქ. № 50) პროვინციაში კი ადგილობრივ რაიონის აქციზის ინსპექტორებს, და ამ განცხადებაში უნდა აღნიშნონ რაოდენობა შაქრისა და ადგილი სადაც ის ინახება.

5) 25 ამა ივნისის სააქციზო ზედამხედველობა აღნუსხავს მომარაგებულ შაქრის რაოდენობას (რაფინადს და ფხვნილს) ყველა საწყობებში და სავაჭრო დაწესებულებებში სახალხო კომისარიატებისა, სახელმწიფო მამულებისა, კოოპერატივებისა და საზოგადო ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებისა (რკინის გზის სადგურებზე, ნავთსადგურებზე, სატრანსპორტო კანტორებში, ბანკებში და სხვ.) და შეაწერს მას აქციზს ფუთზე 40.000 მანეთს; თუ შაქრის რაოდენობა არ აღემატება 100 ფუთს, ხვედრი აქციზი შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში 7 დღის განმავლობაში. ხოლო თუ იგი აღემატა 100 ფუთს, მაშინ თანახმად საქონლის პატრონის სურვილისა ეს შაქარი შეიძლება გადაცემული იქნეს სააქციზო ზედამხედველობის ქვეშ. აქციზი კი უნდა გადახდეს დახარჯვის მიხედვით წინა წარ.

6) აღნიშნულ რიცხვიდან საბაჟოები უშვებენ შაქარს ხვედრი აქციზის გადახდევინებით.

7) არა პირდაპირ გადასახადთა განყოფილება ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობებს საბაჟოებს და სააქციზო ინსპექციებს.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე—**ბიბინეიშვილი.**

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე—**ლამბარაშვილი.**

მდივანი—**უხტიაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია

შაბათს, ივნისის 17-ს მშვიდად გარდაიცვალა

კონსტანცია მიხეილის ასული

როლკე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ: შვილი არტურ სტანისლავის ძე, რძალი რაისა ალექსანდრეს ასული, შვილის-შვილი ვიტოლდი და მარიამ მიხეილის ასული გოლცისა. ცხედრის გამოსვენება ბინიდან (მალაკნის ქ. № 23) მოხდება კვირას, ივნისის 18-ს ნაშუადღევს 3 ნახევ. საათზე, პეტრე პავლეს კოსტელში ნიკოლოზის ქუჩაზე, იქიდან კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე, სადაც ნეშტი დაკრძალულ იქმნება. (1—1)

გაუბედურებული დედა **სარა ფირანის ასული**, რძალი **სერაფიმა ივანეს ასული** და ძმა **ვალერიანე** აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის 15 ივნისს ღამის 2 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ანტონ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილი

გასვენება დიდუბის ეკლესიაში საკუთარი ბინიდან (ელისაბედის ქუჩა, № 37). 18 ივნისს დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (2—2)

დაღონებული ამხანაგები მძიმე გულის ტკივილით აცნობებენ ყველა ამხანაგ მეგობრებს **იშვიათი, საყვარელი და ძვირფასი ამხანაგის**

ანტონ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გასვენება დიდუბის ეკლესიაში საკუთარ ბინიდან (ელისაბედის ქუჩა, № 37) 18 ივნისს დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (2—2)

გაზეთის ტრესტი
საექსპედიციო განყოფილება
რუსთაველის პროსპ. № 24

საჭიროა კონტრაგენტი გაზეთების გასავრცელებლად თელავში, ქიათურაში, ბორჯომში და მის რაიონებში. (5—5)

ყინული

უშვებს საყინულე ქარხანა ქალაქის სასაკლაოებისა 30,000 მანეთად ფუთს ადგილობრივ და 45.000 მანეთად მიტანით. (3—2)

ყველა იმათ ვისაც სურთ დაიბრუნონ უკან თავიანთი დოკუმენტები

წარდგენილი თავის დროზე ყოფილ შრომის სამინისტროს (მენშევიკების) საპენსიო განყოფილებაში—ვსთხოვთ გაიტანონ ერთი თვის განმავლობაში, ვინაიდან ამ ვადის შემდეგ თხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნება. ამის შესახებ განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატში, ღარიბთათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებაში.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

ტეხნიკუმის მასწავლებელი

ამზადებს განმეორებითი გამოცდებზე ალგებრაში, გეომეტრ., ტრიგონომეტ. და ენებში. მე-5, 6, 7 კლასში შესასვლელად სექტემბერში. პლეხანოვის და ალექსის ქ. 25—5. ნახვა 9—12 ს. 2—6 ს. (1—1)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა-პასპორტი მნახველს ვსთხოვ გადმომცეს. მისამართი ელისაბედის ქ. № 148 ალექსი ჭანტურია. (1—1)

ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე

დ. ი. იაგორაშვილი იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულის პლატონ ანტონის ძე გლავაცკისა, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდგან ამა განცხადებისა. (1—1)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.